140
1985

ISSN 0182— 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# პიონერი

5
1985



# საიუბილეო საუბარი ახალგაზრდობასთან

## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

1

პიონერები ვიყავით მაშინ,
როცა აბრუნდა ომის ბორბალი,
მეხმა გაკვესა ესპანურ ცაში,
ალბანეთს მისწვდა ცეცხლი მბორგავი.

კომკავშირლები ვიყავით უკვე, —
იძალა შავმა სიკვდილის ზვავმა,
ღამემ ჩააქრო ვარშავის შუქი,
პარიზის მკერდი დაკორტნა სვავმა.

ევროპას მძიმედ დააწვა მკერდზე
კაცთსაძულველი სვასტიკის ჩრდილი
და შეტორტმანდა პლანეტის ღერძი
და მთელ მსოფლიოს გაუტყდა ძილი.

და როცა სკოლის გამოვცდით კარებს,
თავზე დაგვესხა ვერაგი მტერი.
სიკვდილის ღრუბელს არ გაიკარებს
მშობლიური ცის მაღალი ჭერი!

მკერდით ვეფარეთ მამულის კარებს
და ბრძოლის ცეცხლში ჩავდექით რწმენით.
მონობის უღელს არ გაიკარებს
ჩვენი ხალხი და სამშობლო ჩვენი!

ოთხ გრძელ წელიწადს, მძიმე წელიწადს
მეხად გრგვინავდა წუთი ყოველი,
ჩვენს მკერდს რა ტალღა არ შეელეწა,
მაინც მძლავრობდა სწორუპოველი.





— ომი დამთავრდა!!!

გამარჯვების პარადი წითელ მოედანზე 1945 წლის 24 ივნისს.
ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან საბჭოთა ადამიანების ფერხთით დაყარეს ჩვენმა მეომრებმა ჰიტლერული არმიის შავსვასტიკიანი დროშები.

საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ბერლინში.



# დიდი გამარჯვება 1945-1985 40

საკუთარ ტკივილს როდი ვჩიოდით,
გვეძახდა ამ დღის შუქი ციური
და მტერი ვძლიეთ,
კაცობრიობის
უბოროტესი მტერი ძლიერი.

2

და ჰა, მეორმოცე
მაისი მოსულა!
ცაზე შუქბდღვრიალა
მნათობი მოცურავს.
დიდი გამარჯვების
ცხრამაისობაა,
დიდი სიყვარულის
მარადისობაა.
აღმამიმავალი
და აღმშენებელი
სამშობლოს დროშები
მეცხრე ცას ედება,
და უკვე შვილებით
მხრებდამშვენებული
იმ ომის დღეების
მოვდივართ მხედრებიც.
მოვდივართ, გვიხმობენ
მთები და ველები,
გარეჯის სუნთქვა თუ
ენგურის კაშხალი
და ჩვენი შვილები
სწავლის თუ შენების
ფრონტებზე იბრძვიან,
ახალ გზებს ლაშქრავენ,
მადლობა, შვილებო,
შენების, ძიების
გზებით მიმავალნო,
მამური მადლობა!
ხალხი ამაყობდეს
თქვენი სიძლიერით,
ნურასდროს შეგასწროთ
მამულის ავდრობას!
გიცოცხლოთ ხალხი და
გიმძლავროთ სამშობლო,
ჩვენი სიჭაბუკის
წილხვედრი გაშოროთ!
...მკერდით მივარღვევდით
ცეცხლოვან ქარბუქებს,
სამშობლოს სახელით,
მომავლის სახელით,
დღესაც სანგარში დგას
ჩვენი სიჭაბუკე
ხელში ჩაბღუჯული
მრისხანე მახვილით.
დღესაც სანგარში დგას
ამ დღეთა დამცველად,
ხვალე დასარწევი
აკვნების დამცველად,
თქვენი ფრთაგაშლილი
ოცნების დამცველად,
მთელი დედამიწის
მშვიდობის დამცველად.
დაე, ჩვენ, დღეს უკვე
ჭაღარაშერთულებს,
ჩვენი ჭაბუკური
დღეების ერთგულებს,
ძველი ჭრილობები
გვტკიოდეს დღემუდამ,
ფრთები ჩამოგვტეხოს,
როგორც ვაზს ნამხრევი,
სხეულს გვიმძიმებდეს
ლითონის ნამსხვრევი,
ხსოვნას — გახსენება
. ომში დაცემულთა,
ოღონდ თქვენ, ოღონდ თქვენ
არასდროს გტკიოდეთ,
ყოველთვის მშვიდობის
მხედრებად გიგულოთ,
ხალხის სიკეთისთვის
წინმსვლელებს გიყუროთ,
ოღონდაც სამშობლო
მზისკენ მიდიოდეს!
ამისთვის ვიბრძოდით
სამშობლოს სახელით,
მშობლიურ პარტიის
და თქვენი სახელით,
ამისთვის დავლეწეთ
მტრის ბილწი მახვილი,
ამისთვის ჩავაქრეთ
ცეცხლი დამდაღველი.
და კვლავ გამარჯვების
მაისი მოსულა,
ცაზე შუქბდღვრიალა
მნათობი მოცურავს.
ვაშა და დიდება
ჩვენს ცხრამაისობას,
ხალხის უკვდავებას
და მარადისობას!




გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

5 მაისი 1985

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა




ქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მარშრუტზე:

„პიონერები — სამშობლოს“

# მათ ხსოვნას დავიწყება არ უწერია

მანანა გელაშვილი



ინტერესით უსმენენ ნორჩები 32-ე სკოლის დირექტორს, ომის ვეტერან აკ. გვაზავას.

ხომ მხოლოდ შორეულ გამოძახილად მოაღწია ომის ექომ დღევანდელ მოზარდ თაობამდე, ხომ მხოლოდ წიგნებითა და ფილმებით იციან ჩვენმა ბავშვებმა მამა-პაპათა გმირობაზე, მაგრამ როგორი პატივისცემით ეკიდებიან ისინი ომის მონაწილეებს, რომელთა არნახულმა სიმამაცემ და თავდადებამ დაამარცხა ფაშიზმი; როგორი მოწიწებით ხრიან თავს იმათი ხსოვნის წინაშე, ვისი სიცოცხლის ფასადაც იქნა მოპოვებული დიადი გამარჯვება, რომლის მე-40 წლისთავს დიდი ზეიმით აღნიშნავს წლევანდელ 9 მაისს მთელი საბჭოთა ხალხი, და საერთოდ, ყველა ადამიანი, ვისაც მთელი სიგრძე-სიგანით წარმოუდგენია ნებისმიერი ომის საშინელება, თუნდაც იმ გარდასული ომისა, ჩვენი ხალხისთვის რომ დიდი სამამულო იყო, თუნდაც იმ მოსალოდნელი ომისა, რომელსაც მის მოსურნეთა წყალობით შეიძლება საყოველთაო კატასტროფა მოჰყვეს.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მე-40 წლისთავის შესახვედრად გაშლილმა სამზადისმა წამყვანი ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის პიონერული რაზმეულების ცხოვრება-საქმიანობაში. საინტერესო მუშაობა გასწიეს ამ მიმართულებით ქუთაისელმა პიონერებმაც.

დიდი მონდომება, საზრიანობა და ენთუზიაზმი გამოიჩინა თითოეულმა რაზმმა, თითოეულმა პიონერმა. არა ერთ საინტერესო ჩანაფიქრს შეესხა ხორცი ამ მუშაობის პროცესში, მრავალი სასარგებლო საქმე გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში პიონერების თაოსნობითა და ძალებით.

გავეცნოთ თუნდაც ქალაქის 33-ე სკოლის ვალენტინა ტერეშკოვას სახელობის პიონერული ორგანიზაციის საქმეებს. რაზმეულის ათივე რაზმი ერთნაირი ხალისით ჩაერთო დიადი თარიღის შესახვედრად დაწყებულ სამზადისში. გულმოდგინედ შეუდგნენ პიონერები ცნობების შეკრებას მიკრორაიონში მცხოვრები ომის ვეტერანების შესახებ. მართალია, უმეტეს მათგანს ისინი მანამდეც იცნობდნენ, ხოლო ზოგიერთთან მეგობრობდნენ კიდევაც, მაგრამ ახლა იმდენი ახალი რამ შეიტყვეს და დაადგინეს მათ შესახებ, იმდენი ფოტო, ფრონტული წერილი თუ ომისდროინდელი გაზეთი შეაგროვეს, რომ პიონერთა ოთახის მაგიდები და თაროები ლამის ველარ იტევდნენ მოძიებულ-მიკვლეულს. მალე მთელი ეს მასალა ალბომებში, კედლის გაზეთებში და სტენდებზე განაწილდა.

ცალკე ალბომი უძღვნეს პიონერებმა ირაკლი არსენიძეს, მის გმირობასა და მამულიშვილობას. გემოვნებით გაფორმებული ფურცლები, მრავალი ფოტო, ამონაწერები წერილებიდან ნორჩი ქუთაისელების სახელოვანი თანამოქალაქის საბრძოლო გზაზე მოგვითხრობენ: ირაკლი არსენიძემ მოსკოვის უმაღლესი საბჭოს სახელობის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, იბრძოდა კარპატებში, კიევის ოლქში, რუმინეთის ტერიტორიაზე, უნგრეთის მიწა-წყალზე. სწორედ აქ, ერთ-ერთი სიმაღლის აღებისას 1944 წლის 4 ოქტომბერს იგი მძიმედ დაიჭრა, ისე, რომ საჭირო გახდა ფეხის ამპუტაცია. ჰოსპიტლიდან გამოწერილმა არსენიძემ კვლავ ფრონტს მიაშურა, კვლავაც უწინდელი თავდადებით იბრძოლა ბატალიონის მეთაურმა და გამარჯვების ბედნიერ დღეს ჩეხოსლოვაკიის მიწაზე შეხვდა. დღეს ომის ვეტერანი ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობს და პარალელურად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა, სიამოვნებით მონაწილეობს მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში. ირ-

აკლი არსენიძეს ხშირად ნახავთ 33-ე სკოლაში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მისი ორი შვილიშვილი, გიგა და ირაკლი სწავლობს, არამედ იმიტომაც, რომ მისი მეგობარია თითქმის მთელი სკოლა, განსაკუთრებით კი პიონერები, რომლებიც მას საერთო ბაბუად მიიჩნევენ და ყოველთვის დიდი გულისყურით ისმენენ მის მონათხრობს საბრძოლო ეპიზოდებზე, თავის თანამებრძოლებზე.

ცალკე ალბომები უძღვნეს პიონერებმა შინმოუსვლელებს. სიყვარულით შეუგროვებიათ გოგო-ბიჭებს მათი ფოტოები, ჩაუწერიათ ბიოგრაფიები, გამოუყენებიათ ახლობლებისათვის მოწერილი მათი ფრონტული ბარათები, ამონაჭრები ფრონტული გაზეთებიდან.

გამარჯვების მე-40 წლისთავს მიუძღვნეს ქუთაისელმა მოსწავლეებმა გასულ სექტემბერს მოწყობილი ლაშქრობა მარუხის უღელტეხილზე. უფროსკლასელთა იმ ნაკრები რაზმის შემადგენლობაში, რომელმაც კავკასიისათვის წარმოებული ბრძოლის ადგილები ინახულა და დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად მემორიალი აღმართა, რამდენიმე პიონერიც ერია, მათ შორის იყო 33-ე სკოლის მოსწავლე ზაზა ლომთაძე, რომელიც დღესაც მღელვარებით იხსენებს იმ ლაშქრობას და მარუხზე ნანახ-განცდილს.

დიადი თარიღისათვის მზადების ნიშნით ჩაატარა სკოლის შრომითმა რაზმმა შარშანდელი ზაფხული ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველ სენაკში. შრომითი დესანტის წევრებმა, რომლებმაც თავიანთ ემბლემად სხვადასხვა კონტინენტის ბავშვთა სილუეტები და მათ თავზე მორიალე მშვიდობის მტრედი აირჩიეს, რაზმის შემადგენლობაში ჩარიცხეს ომში დაღუპული გმირები: აკაკი შევარდნაძე, ნოე ურუშაძე და მირზა გელოვანი, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი მათი სახელების უკვდავებას.

განსაკუთრებული გულმოდგინებით მოემზადნენ სკოლის პიონერები საქალაქო ვიქტორინა-კონკურსისათვის, რომელიც ისევ და ისევ გამარჯვების მე-40 წლისთავს მიეძღვნა. მხატვრული თვითმოქმედების საინტერესო პროგრამით წარსდგა ამ კონკურსზე რაზმეულის ნაკრები გუნდი „ედელვაისი". ომსკის უმაღლესი სატანკო-საინჟინრო სასწავლებლის კურსანტს გელა ურთმელიძეს და სამხედრო სასწავლებლის აღსაზრდელს არჩილ შალიბაშვილს ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ წლევანდელი 23 თებერვალი, როცა მშობლიურმა სკოლამ საზეიმოდ მიულოცა მათ საბჭოთა არმიის დღე.

32-ე სკოლის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაზმეულის პიონერებმა კი ამ დღეს პირველად თავიანთი მასწავლებლები, ომის ვეტერანები აკაკი გვაზავა, გივი კვატაშიძე, ვახტანგ ბახტაძე და იოსებ მამასახლისი გაახარეს გულთბილი მილოცვით. შემდეგ კი მიკრორაიონში მცხოვრებ ყველა ვეტერანს მიულოცეს ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავი. გოგო-ბიჭებმა ომის მონაწილეთა ყველა ოჯახს ჩამოუარეს და გულითადი მილოცვის შემდეგ სკოლაშიც მიიპატიჟეს ისინი, დაათვალიერებინეს ამ თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენები, ალბომები, სტენდები „გმირი პიონერები", „ჩვენი სკოლის ვეტერანები", „მიკრორაიონის ვეტერანები", საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი ყოფილი თანასკოლელების კუთხე, სასკოლო საბრძოლო დიდების მუზეუმის სხვა ექსპონატები, ასეთი რუდუნებითა და ხალისით რომ აგროვა თითოეულმა მათგანმა. საერთოდ, დიდი სამამულო ომის ვეტერანები პიონერების ხშირი სტუმრები არიან, თუმცა ეს არც არის გასაკვირი. მეგობრებს ხომ მუდამ მიუწევთ გული ერთმანეთისკენ. ვეტერანების მონაწილეობით ჩატარდა სკოლაში სა-



პატარა ლელა იოზიძემ ეს ნახატი დიად თარიღს უძღვნა


პირველსკოლელი პიონერები ვიქტორინა-კონკურსისათვის ემზადებიან.


80-ე სკოლის აქტივისტი პიონერები.


მალე კედლის გაზეთიც მზად იქნება.

მშვიდობო მანიფესტაცია „ჩვენ მშვიდობა გვინდა", მშვიდობის გაკვეთილები 1 სექტემბერს და 23 თებერვალს, ხოლო აპრილში სკოლაში თავი მოიყარა მიკრორაიონში მცხოვრებმა ომის ყველა ვეტერანმა.

ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს 30-ე სკოლის წითელმა კვალმაძიებლებმა ემზარ აბულაძემ, ირმა შუბითიძემ, ელისო კინწურაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც დაწვრილებით ჩაიწერეს და შეისწავლეს სკოლის მიკრორაიონის თითოეული ომის მონაწილის საბრძოლო ბიოგრაფია. მათივე დამსახურებაა ის, რომ გაიბა მეგობრული კავშირი დნეპროძერჟინსკელ ნორჩ კვალმაძიებლებთან, რომლებიც ქუთაისელი გრიგოლ გობეჯიშვილის საფლავს უვლიან და პატრონობენ. საინტერესოდ ჩატარდა მიკრორაიონის ვეტერანთა შეკრება, რომლის მომზადება-ორგანიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს პიონერებმაც. საქალაქო კონკურს-ვიქტორინაზე 30-ე სკოლელებმა ჩინებულად გაფორმებული ალბომები წარადგინეს, ერთ-ერთი მათგანი „ვეტერანი ჩვენს გვერდით" მათ სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერს ჯანსუღ დავითაიას უძღვნეს. მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ ამ კონკურსზე ნორჩი შემოქმედები, რომელთა ინსცენირებულმა ლიტერატურულმა მონტაჟმა „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს", საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ძალზე საინტერესოდ ჩაიარა სკოლაში ლიტერატურულმა საღამომ „ფაშიზმის გასამართლება". ხატოვანმა პლაკატებმა, დოკუმენტურმა მასალამ, ლექსებმა, ომის მონაწილეთა მოგონებებმა განსაკუთრებული იდეურ-აღმზრდელობითი დატვირთვა მისცეს ამ ღონისძიებას. გამარჯვების მე-40 წლისთავს მიუძღვნეს თავიანთი მორიგი გამოფენა სახვითი ხელოვნების წრის წევრებმა, სპეციალური პროგრამა მოამზადა ამ თარიღისათვის სკოლის საესტრადო კოლექტივმა.

კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს პირველსკოლელმა პიონერებმაც. ნორჩი კვალმაძიებლების წყალობით სკოლის მოსწავლეები შეხვდნენ მიკრორაიონში მცხოვრებ ვეტერანებს, გაეცვნენ სკოლის კურსდამთავრებულ ომის მონაწილეთა საბრძოლო გზას. დიადი თარიღისადმი მიძღვნილი ბევრი საინტერესო ღონისძიება მომზადდა და ჩატარდა სკოლაში, და ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ გაწეულ მუშაობაში ხალისით მონაწილეობდა რაზმეულის ყველა რაზმი, ყველა პიონერი, ერთნი თუ საკვალმაძიებლო საქმიანობაში იყვნენ ჩაბმულნი, მეორენი მხატვრული თვითმოქმედებით იყვნენ დაკავებული, სხვებმა შეფ სამხედრო ნაწილთან შეხვედრის მომზადება-ჩატარება იდეს თავს. განსაკუთრებით ისახელეს თავი VIა-კლასელმა პიონერებმა, რომელთა რაზმი მირზა გელოვანის სახელს ატარებს, ბორის ძნელაძის სახელობის მეათე რაზმის პიონერებმა, მათმა რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ თამრიკო ქაჯაიამ.

ყურადღება არ მოუკლიათ ომის ვეტერანებისათვის მარინე გიორგობიანს, მელანო პაიკიძეს, შალვა კოკელაძეს, სოსო უგულავას, გიორგი ბერაძეს, გიორგი სვანიძეს, ეკა ძიგრაშვილს, მამუკა კობზონაძეს.

ერთ მშვენიერ დღეს კი სკოლაში ჩატარდა შეხვედრა ომგადახდილ ბაბუებთან. უნდა გენახათ რა სიამაყით მიუძღოდნენ ომგადახდილ ბაბუებს მამუკა მანაგაძე, არჩილ თვალავაძე, ერეკლე გოგაძე და სხვები.

ნორჩების მიერ გამარჯვების 40 წლისთავის შესახვედრად გაწეული მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მუშაობა, ის მრავალრიცხოვანი კეთილი და სასარგებლო საქმე, რაც მათ ამ ხნის განმავლობაში გააკეთეს, იმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენს ახალგაზრდობას, ნორჩ თაობას შეგნებული აქვთ ოთხი ათეული წლის წინათ ფაშიზმზე მოპოვებული გამარჯვების უდიდესი მნიშვნელობა, მნიშვნელობა იმ უმაგალითო თავდადების და გმირობისა, საბჭოთა ხალხმა რომ გამოიჩინა დიდ სამამულო ომში.





30-ე სკოლაში მოწყობილი გამოფენის ექსპონატები

გ. ცაგარლისა და ო. ჯერეჩიაძის ფოტოები.



# „ვინც ქარს დასთესს...“

**თენგიზ ჩალაური**

მხატვარი ზაურ დეისაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

დაბალი, ყასბის ჯირკივით დაგვაჯული უნტერ-შტურმფიურერი, რომელსაც ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი ტყავის ლაბადა შავ, გატიკნილ მუთაქას ამსგავსებდა, ამაყად მოუძღოდა დაღლილი, არეული ნაბიჯით მომავალ ტყვეთა კოლონას.

მის ჭროღა, მუნდირის ღილებივით ცივად მოელვარე თვალებში მსოფლიოს მომავალი განმგებლისა და ზეადამიანის სითავხედე გამოსჭვიოდა.

ოციოდე ავტომატმომარჯვებული ესესელი, რომელთაც უნტერ-შტურმფიურერი მეთაურობდა, ყოველი მხრიდან გარშემორტყმოდნენ ტყვეებს, რომელნიც ჭრილობებისა და შიმშილისაგან ისე იყვნენ მისავათებულნი, რომ არათუ გაქცევის, ნაბიჯის გადადგმის ილაჯიც ძლივსღა ჰქონდათ.

ოქტომბრის მიწურულის მოქუფრული ციდან წვრილად, გამჭოლად ცრიდა, ხოლო ზღვიდან მოვარდნილი ქარი წვიმის წვეთებს ნემსებივით მჩხვლეტავსა და მსუსხავს ხდიდა, ამიტომაც იყო, რომ ყველა ტყვეს პირისახე ძონძებში ჩაემალა და ქედი ჩაედრიკა.

ამ პროცესიის შორიდან მხილველს ისეთი განცდა დაეუფლებოდა, თითქოს ესესელები თავწაცლილ ადამიანებს მიერეკებოდნენ.

გრანიტის ფილებით მოპირკეთებულ ცენტრალურ ქუჩაზე წკრიალებდა ოკუპანტთა ნალებდაკრული ჩექმები, და ამ ხმას ტყვეთა ლანჩებაბდღვნილი ფეხსაცმლების ფრატაფრუტი უერთდებოდა.

გაწუწული ქათმებივით აბუზული კანტიკუნტი გამვლელები, უმეტესწილად მოხუცები, ტყვეთა გამოჩენისთანავე ჩერდებოდნენ, კედლებს ეკვროდნენ და ცრემლმორეული, სევდანარევი მზერით მიაცილებდნენ განაწამებ, გაუბედურებულ თანამოძმეებს.

თბილად ჩაცმული, ფრანგული კონიაკით შეხურებული ოფიცერი ავადმეოცნებე ბუნების კაცი იყო და ახლაც, როგორც ყოველთვის, მის დემონურ წარმოდგენას ლარივით სწორხაზოვანი მიმართულება ჰქონდა.

ჰანს ფისნერი, — ასე ერქვა უნტერ-შტურმფიურერს, — ამჟამად ნეტარების ბურანში იმყოფებოდა და ოცნებით წითელ მოედანზე, გერმანელთა არმიის თავკაცად მიაბიჯებდა. ხოლო მავზოლეუმზე მდგომი ფიურერი მისი გამოჩენისთანავე ხელს შლაგბაუმივით გაიშვერდა და ჩვეული ისტერიული ხმით ჩაჰყვირებდა მიკროფონებში მთელი მსოფლიოს მოსასმენად რუსეთის დამჩოქებელ, უძლეველ ფელდმარშალ ჰანს ფისნერს: ჰაილ, ჰაილ და კიდევ ჰაილ!

შემდეგ ამას უნდა მოჰყოლოდა ქვემეხების გაუთავებელი კანონადით მისი ტრიბუნაზე მიწვევა და რაიხის უმაღლესი ორდენით — მუხისფოთლებიანი ოქროს ჯვრით დაჯილდოება.

მაინცდამაინც იმ დროს, როდესაც ფიურერმა მისასალმებლად ხელი შემართა, ჰანს ფისნერს თავისი ფელდფებელის ღრიალი შემოესმა და ოცნების მწვერვალიდან თავდაყირა გადმოშვებული ფელდმარშალი კვლავ რიგით უნტერ-შტურმფიურერად იქცა.

ტყვეთა კოლონის განაპირა რიგში დიდულვაშა, აწოწილი უკრაინელი წაქცეულიყო და, ორად მოკაკვული, სისხლს ანთხევდა, ხოლო ბრგე ფელდფებელი გამეტებით უბაგუნებდა მუცელში ჩექმას და გააფთრებული ბრდღვინავდა.

ჰანსი იმდენად გააცოფა ამ მოულოდნელმა წოდებრივმა ჩამოქვეითებამ, რომ წამითაც აღარ შეყოვნებულა (განა თვით ღმერთი და ფიურერი არ მოითხოვენ არიელი არწივებისაგან მაქსიმალურ სისასტიკეს?!), თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლის დახამხამებაში მიიჭრა ფელდფებელთან, მკერდში მჯიღის კვრით მოაშორა ტყვეს, ბუდიდან პისტოლეტი ამოიღო, ოდნავ განზე გადგა და წაქცეულს ზედიზედ სამი ტყვია დაახალა.

განწირულის გაძვალტყავებული სხეული სამჯერვე მკვეთრად შეხტა, შემდეგ გულაღმა ამობრუნდა, ნაცრისფერ ცას შუშადქცეული თვალები მიაპყრო, ხელებით ჰაერს წაეპოტინა, ერთხელ კიდევ შეტოკდა, ამოიხროტინა და სამუდამოდ გაშეშდა.

ერთიმეორეს მიკრულ-მიტმასნილ ტყვეთა შუაგულში ქალმა იკივლა: — პეტრო... პეტრო! — და ჯგუფიდან გამოსხლტომა სცადა, მაგრამ რამდენიმე კაცმა გზა შეუკრა, გააკავა და უაზრო თავგანწირვისაგან იხსნა.

ჰანსს ზედა ტუჩის კუთხე სადისტურმა ღიმილმა აუთამაშა, მოკლულს დამცინავად დააცქერდა, „პედრო...“ — ჩაიქირქილა და ცხედარს ყველას დასანახავად დააწიტა.

ცოტა ხანს ადროვა, გამომწვევად უცქირა ტყვეებს და ბოლოს გზის მიმართულებით გაიქნია ხელი.

— წინ, ღორებო, წინ! — ჩახლეჩილი ხმით გასცა ბრძანება, რომელსაც შავფარაჯიანების ლანძღვა-გინებაც დაერთო, და უბედურთა კოლონა, როგორც მეცხვარის მათრახის ტყლაშუნით შემკრთალი ცხვრის ფარა, მორჩილად დაიძრა.

ათიოდე წლის ბიჭი გენკა ოსადჩი, რომლის თვალწინაც ეს საშინელი მკვლელობა მოხდა, ერთხანს გაქვავებული დასჩერებოდა დიდულვაშა უკრაინელის ცხედარს, შემდეგ უეცრად მთელი სხეულით აკანკალდა და სულის ხუთვა იგრძნო, ორთავე ხელის თითები პერანგზე იტაცა და საკინძე ჩამოიბდღვნა.

მას ბევრი სმენოდა ფაშისტთა ჯალათობის შესახებ, მაგრამ ახლა პირველად გახდა მისი უშუალო თვითმხილველი.

ესესელებით გარშემორტყმული ტყვეთა ჯგუფი ნელნელა შორდებოდა გენკას და არც მტერსა და არც მოყვარეს ერთხელაც აღარ გაჰქცევია მზერა ქვაფენილზე გაშოტილი კაცისკენ.

როგორც კი გაოგნებამ და ზარდაცემამ ოდნავ გაუარა, გენკა ოსადჩიმ საოცარი სიცხადით იგრძნო, რომ ის, რაც ახლა მოხდა, არაფრით არ შეიძლებოდა ასე დასრულებულიყო. თუ რატომ, ამას თავადაც ვერ ხვდებოდა, მაგრამ ბოროტებას რომ დასჯა სჭირდებოდა, ეს ისეთივე ცხადი და კანონზომიერი იყო, როგორც მისი არსებობა, შეგრძნება, აღქმის უნარი, და, ბოლოს და ბოლოს, სიზმრად ხომ არ ხედავდა, ორი აცრემლებული დედაბერი, „ვაი შვილოს“ მოთქმით, როგორ მიაჩოჩებდა მოკლულის გვამს ტროტუარისაკენ.

ბიჭს არც შურისგების სურვილი გასჩენია და არც სიძულვილისა, ამის შეგრძნებას ცოტაოდენი დრო მაინც სჭირდებოდა. შიში და გაოგნება კი საკვამურიდან ამონადენი კვამლივით სტოვებდა მის მოუწიფავ არსებას, სხეულის თრთოლვაც თითქოს შეუჩერდა. ახლაღა შენიშნა დაჭიანებული კარტოფილით გამოტენილი ტილოს ტოპრაკი, ხელიდან რომ გავარდნოდა და ბორდიურის ქვასთან წაფერდებულად ეგდო.

გენკა ინსტინქტურად მოიხარა, რათა გადმოცვენილი კარტოფილები ტოპრაკში ჩაებრუნებინა; სწორედ მაშინ შენიშნა წვიმისაგან გალაპლაპებული ნაცრისფერი გრანიტის მუშტისოდენა ნატეხი და უეცრად ჩასჭიდა მას ხელი, სწრაფად აიტაცა, თუმცა ჯერჯერობით განზრახულიც არაფერი ჰქონდა.

ტყვეთა კოლონა სადაცაა მოსახვევში გაუჩინარდებოდა. ბიჭი დაეწია, შორიახლო აედევნა, შემდეგ ნაბიჯსაც აუჩქარა და გრანიტის ქვის ნატეხსაც ისეთი გამწარებით მოუჭირა ხელი, რომ ფრჩხილები მთლად გაუთეთრდა.

ამასობაში უნტერ-შტურმფიურერი ჰანს ფისნერი ცენტრალური ქუჩის ორადგამყოფ პარკს უახლოვდებოდა. ქუჩის მარჯვენა ტოტი მითრიდატეს მთის მიმართულებით ირკალებოდა, ხოლო მარცხენა დაბლა, ნავსაყუდელისაკენ ეშვებოდა და იქვე, ზღვის პირას მთავრდებოდა.

ამ ორ გზას შუა კონცხივით შემოჭრილიყო ქალაქის ერთ-ერთი პარკი, სადაც გაზაფხულობით ნაირ-ნაირ ყვავილებს რგავდნენ და ახარებდნენ. ახლა პარკი აზუზნული ტალახისა და ნაგვის სამარხად ქცეულიყო, რადგან დამპყრობელთა მძიმე ტანკებს სრულებითაც არ ეჭაშნიკებოდათ რამდენიმე ბუჩქისა და ხეხილის გამო გზის გამრუდება და დროის დაკარგვა.

ამ ოდესღაც აყვავებული ბაღნარის თავში, დალეწილი სკამების, ძირიანად მოთხრილი ხეებისა და ტალახისაგან შექმნილ მომცრო გორმახზე იდგა ათიოდე წლის უკრაინელი ბიჭი გენკა ოსადჩი და მთელი სხეულით დამუხტული ელოდა იმ არაკაცის მოახლოებას, რომელიც მის თვალში ბოროტებას, სისასტიკეს, დამცირებას, შიმშილს და ყოველგვარ უბედურებას ასახიერებდა.

სწორედ მისთვის უნდა მიეზღო ყველა მოკლულისა და დასახიჩრებულის საზღაური, ყველა დაობლებულისა და დაქვრივებულის ცრემლისა და ტანჯვის სანაცვლო; მხოლოდ ამ ერთისაგან, ამ ჭრელთვალება სატანისაგან უნდა მოეთხოვა პასუხი იმ ცოდო-ბრალისა, რაც ამ ქვეყნად ტრიალებდა.

მეოცნებე ჰანს ფისნერი კი, რომელსაც ჩადენილი მკვლელობა არათუ სინდისის ქენჯნას, პირიქით, სიამაყესაც კი ჰგვრიდა, კვლავ ფელდმარშლად ქცეულიყო, ძველებურად მკერდგამოჯგიმული მოაბიჯებდა და მარჯვენა ხელი პისტოლეტის ჯერაც შეუკრავ ბუდეზე ჰქონდა ჩამოდებული.

გენკამ ათიოდე ნაბიჯზე დააცადა მოახლოება ბაჯბაჯა ნაბიჯით მომავალ ოფიცერს, შემდეგ ბავშვური, მაღალი ფალცეტით — „სიკვდილი ფაშისტებსო!" — შეჰყვირა და სუსტი, შიმშილისაგან დაუძლურებული ხელით სახეში გამეტებით სტყორცნა გრანიტის ნატეხი.

დაბილული ქვა ჯერ ოფიცრის სახის მიმართულებით წავიდა, მაგრამ შემდეგ ქანი დაჰკარგა, ნელ-ნელა დაეშვა და უნტერ-შტურმფიურერს მკერდზე მოხვდა.

ჰანს ფისნერმა მოულოდნელობისაგან შეჰყვირა, — მან ხომ არ იცოდა, რა ესროლეს, შემდეგ ფილაქანზე გაგორებულ ქვას დახედა და ბოლოს იმასაც შეხედა, ვინც ესოდენი თავხედობა ჩაიდინა.

თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა მის წინ მდგომი, წელში გამართული, თვალებანთებული ბიჭი.

ბავშვი მეტისმეტად საცოდავად გამოიყურებოდა. ცირკის ტანმორჩილ მასხარასავით ყველაფერი შეუსაბამოდ დიდი, მოფლაშული ეცვა: ბათინკებიც, შარვალიც და საკერებელდადებული მეზღვაურული ქურთუკიც, რომელიც უდავოდ მამის თუ პაპის ნაქონი იქნებოდა; საკინძემობღლვნილი პერანგიდან გამხდარი კისერი ყვავილის ღეროსავით ამოეწვდინა და ამ კისერზე ჩალისფერი თმითა და ცისფერი თვალებით დამშვენებული ლამაზი თავი ედგა.

ჰანს ფისნერს რომ იუმორის ან სიბრალულის თუნდაც მცირედი ნასახი ჰქონოდა, ან უნდა გასცინებოდა, ანდა შებრალებოდა ბიჭი, მაგრამ ოცნებიდან ხელმეორედ პანღურნაკრავმა გონების რომელიღაც კუნჭულით კვლავ გააგრძელა წარმოსახვით გათამაშებული სცენა: გამარჯვებული არმიის წინამძღოლ ფელდმარშალს წითელ მოედანზე, რომელიღაც ფანატიკოსმა ხელყუმბარა სტყორცნა... მან კი — არიელმა ზეკაცმა, ნებისყოფის ტიტანური დაძაბვით, თვით უგრძნობი და უსულო ლითონიც კი აიძულა დამორჩილებოდა. და ახლა ადოლფ ჰიტლერი — ღმერთი და ფიურერი, რომელიც ყოველივეს მიხვდა, ელოდა, თუ რას მოიმოქმედებდა ფელდმარშალი, ერის იმედი და მომავალი.

არა ისეთი სისწრაფითა და გაანჩხლებით, როგორც წაქცეული უკრაინელის მოკვდინებისას, არამედ სატანური ღიმილით სახემოღრეცილმა ჰანს ფისნერმა ძალზე მშვიდად, ხელმწიფური სიდინჯით ამოიღო ბრძოლებში ნაცადი პისტოლეტი და იმავ წამს აქამდის ქვადქცეულ და ყოვლისშემსწრე ტყვეთა რიგებს სასოწარკვეთილმა კვნესამ და ოხვრამ გადაუარა.

ოფიცერმა ნება-ნება შემართა იარაღი, თითქოს ტირში სასროლად ემზადებაო, და ბიჭის მაღალსა და სუსტ კისერს გაუსწორისწორა.

ბავშვი კი იდგა და კუშტად წარბებშეყრილი თვალის დაუხამხამებლად შესცქეროდა, თითქოს ვერ ხვდებოდა, რა განსაცდელის წინაშე იმყოფებოდა. ოდნავადაც არ შეტოკებულა, ბიჯიც არ გადაუდგამს გვერდზე.

— ბინძურო ღორის შვილო, — კბილებში გამოსცრა ოფიცერმა, — განანებ მუნდირის შეურაცხყოფას...

და ის იყო, პისტოლეტის სასხლეტზე თითი უნდა გამოეკრა, რომ ზურგს უკან ჯერ რაღაც ჩოჩქოლის, შემდეგ კი ავტომატის გრძელი ჯერის ხმა მოესმა. მსწრაფლ შემოტრიალდა და ათეულობით ადამიანის ანთებულ მზერას შეეფეთა. ტყვეები სახიფათო მანძილზე მოახლოებოდნენ, მაგრამ ერთგულ ჯარისკაცებს დროზე ეგუმანათ და ახლა ჰაერში აწივლებულმა ტყვიებმა უიარაღო ხალხი კვლავ ადგილს მიაჯაჭვა.

ჰანსს კვლავ დამცინავმა ღიმილმა გადაუსერა სახე. და უეცრად მაჯაზე თბილი თითების შეხება იგრძნო. ვიდრე შემობრუნდებოდა, უკან ისკუპა!

მის წინ მოღიმარი ახალგაზრდა ქალი იდგა, ქერა და მომხიბლავი.

— ბატონო ობერ-შტურმფიურერო, — სუფთა გერმა-

ნულით და საოცრად მელოდიური ხმით წარმოსთქვა, — ვიმედოვნებ დამეთანხმებით, რომ ეს ბრიყვი ამ ავაზაკების წაქეზებითაა გატუტუცებული. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ მე ამ ბავშვის გერმანულის მასწავლებელი გახლავართ და კარგად ვიცნობ მის მშობლებს. მამამისი რკინიგზელია და საოკუპაციო ხელისუფლებასთან პატიოსნად თანამშრომლობს. ეს ღლაპიც განსაკუთრებული მონდომებით სწავლობს თქვენს დიდებულ ენას, — აქ ქალმა კვლავ მომხიბლავად გაუღიმა, — ახლა ხომ გჯერათ, რომ იგი ვიღაც ფანატიკოსისგანაა შეცდენილი... თუ წინააღმდეგი არ იქნებით, გაგეცნობით, — ისეთი გულუბრყვილო სიკეკლუცით უთხრა, თითქოს სახალწლო მეჯლისზე ეცნობოდნენ ერთმეორეს, — ფროილაინ ნევეროვსკაია.

ჰანს ფისნერმა იარაღი მარცხენა ხელში გადაიტანა და ქალის სუსტი თითები ისე ჩაბღუჯა, თითქოს მაჯაში უპირებდა წაწყვეტას, ტუჩებთან მიიტანა და მტლაშამტლუშით ჩაკოცნა.

— სად არის თქვენი სკოლა? — კრუტუნით ჰკითხა და ფეხის წვერებზე შეუმჩნევლად აიწია, რომ ქალს სიმაღლეში ოდნავ მაინც გატოლებოდა.

— აქვე, ამ ქუჩის კუთხეში, — მიათითა ქალმა, — თუმცა ახლა სწავლა დროებით შეწყვეტილია, მაგრამ ქალაქის ბურგომისტრი გვპირდება, უახლოეს ხანში დაგრთავთ ნებასო... იმედი მაქვს, პატივს დამდებთ და თავისუფალ დროს მესტუმრებით. — ამ მიპატიჟებას ქალმა ღიმილი და ქათქათა კბილების ელვარებაც დაამატა.

მთელი ამ დაძაბული თამაშის დროს, რომელიც რაღაცით კატა-თაგვობანას წააგავდა, გენკა ოსადჩი ხეზე მიკრულივით იდგა და ერთხელაც არ უფიქრია, გაქცევით ეშველა თავისთვის. ბოლოს და ბოლოს ოფიცერმა შენიშნა იგი და ყვრიმალები აუფორეჯდა.

— ხომ ხედავთ, — იარაღიანი ხელის აქნევით მიანიშნა, — ფეხიც არ მოუცვლია, დგას და თავხედურად შემოგვცქერის.

ნევეროვსკაიას ლამის გულს შემოეყარა, იმედი ჰქონდა, მივბრუნდები და გენკა იქ აღარ დამხვდებაო. მაინც მოიკრიბა ნებისყოფა.

— სწორადაც იქცევა, — დაჯერებით გაამართლა, — უფროსებს ჯერ ხომ არ მიუციათ წასვლის ნება?

— ბიჭი მკაცრად უნდა დაისაჯოს! — ჯიუტად ამოღრინა ჰანს ფისნერმა და ქალის გვერდის აქცევა სცადა, მაგრამ იგი წინ გადაუდგა.

— თქვენისთანა წმინდა სისხლის არიელს გაცხარება არ შეშვენის, — თბილი, მლიქვნელური ხმით დატუქსა და ჩამოქნილი, ნატიფი თითი ბაგეზე მიაბჯინა. — თუ ყმაწვილი ცუდადაა აღზრდილი, ეს ჩვენი — პედაგოგების ბრალია და დასჯაც ჩვენგან ეკუთვნის. ახლავე დაგარწმუნებთ უძველეს ჭეშმარიტებაში, კერძოდ იმ პუნქტში, რომ ვინც ქარს დასთესს, ქარიშხალს მოიმკის!

ასეთი ღმერთქალის სიახლოვით გაბრუებულმა უნტერ-შტურმფიურერმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ფროილაინ ნევეროვსკაია უკვე აღსაზრდელის წინ იდგა.

— მარია ადამოვნა... — რაღაცის თქმა დააპირა გენკამ, მაგრამ ქალის ხმამაღალმა კივილმა იმწამსვე ჩააჩუმა.

— ხმა, კრინტი, შე მხეცო, უზრდელო და თავხედო!

მთელი ძალით გაწნულმა სილაქმა საკმაოდ მთამბეჭდავი ტყაპანი გაიღო. გენკა ამას არაფრით არ ელოდა, შეკრთომისაგან ორთავე ფეხი ტალახზე აუცურდა და წუმპეში მოადინა ზღართანი. მაგრამ თვალის დახამხამებაში წამოხტა და დასვრილი ხელისგულები ქურთუკზე შეიწმინდა.

— რატომ, მარია ადამოვნა... — გაოგნებულმა ამოიხროტინა. — რისთვის გამარტყით?

— კიდეც რომ კითხულობს, — აღშფოთდა დამსჯელი. — ვერ ხვდები, ბრიყვო? ბატონი ოფიცრის შეურაცხყოფისათვის! — კვლავ გერმანულად, უფრო ხმამაღლა უყვირა და ახლა ცაციით მოუნაცვლა, მაგრამ ბიჭმა ინსტინქტურად შეაბრუნა თავი და მოქნეული ხელი ყბის ნაცვლად ცხვირში მოხვდა, გამწარებულმა სახეზე ხელისგული აიფარა და, როდესაც მოიშორა, ყველამ თვალნათლივ დაინახა, როგორ წამოსკდა ნესტოებიდან სისხლი.

ფროილაინ ნევეროვსკაიამ ბიჭს ზურგი შეაქცია და ოფიცრისაკენ ღიმილიანი თავმოწონებით გამოემართა, „ხომ შენიშნეთ, როგორ მარჯვედ მოვცხეო", — მაგრამ ჰანს ფისნერმა იარაღი მუქარით შეათამაშა.

— საკმარისი არ არის, — თქვა უკმაყოფილოდ. — ისე უნდა დაისაჯოს, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდეს. მარჯვენა ხელი დაუჩეჩქვეთ!

— ბატონო ობერ-შტურმფიურერო, — კვლავ წოდებაში აამაღლა ქალმა, — რა საჭიროა ასეთი სიმკაცრე? — დაბნეულის გაოცებით იკითხა, — ის ხომ...

— მარჯვენა ხელი დაუჩეჩქვეთ, — შეუვალად ბრძანა ჰანსმა, — ის რომლითაც გაბედა და ქვა მესროლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე თვითონ...

— კეთილი, კეთილი, თუ თქვენ ასე გნებავთ, მაგაზე იოლი რა არის, — სწრაფად, მორჩილად დათანხმდა მარია ადამოვნა და კვლავ ბიჭისაკენ შებრუნდა.

მიდიოდა და მუხლები ეკეცებოდა. „ღმერთო, შენ დამეხმარე, ღმერთო, შენ შემაძლებინე!" — უხმოდ ჩურჩულებდა.

— გენადი, ჩემო კარგო ბიჭო, — მიახლოებისთანავე უთხრა მშობლიურ ენაზე, — შემოგკრავ თუ არა, წაიქეცი და აღარ ადგე, გეხვეწები, გემუდარები, თორემ მოგკლავენ, ორთავეს დაგვხოცავენ, არ დაგვინდობენ! — კი არ სთხოვა, როგორც საფიცარ ხატს, ისე შეევედრა, მაგრამ თვალებში რომ ჩააცქერდა, მიხვდა, ბიჭი თავისი ნებით არაფრისდიდებით არ წაიქცეოდა.

ამიტომაც კვლავ სწრაფად და მოულოდნელად ამოჰკრა ნიკაპქვეშ მუშტი. ეს ხერხი ერთხელ საქმრომ უჩვენა. ომამდე იგი სპორტსმენი იყო, მოკრივე, ახლა კი უკვე ცოცხლებში აღარ ეწერა.

გენკა აღმართში წაფარფატდა, გორმახის წვერამდე ავიდა და, როდესაც მარია ადამოვნას იმედი გაუჩნდა, ახლა კი გაიქცევა და ამ ტარტაროზის თვალსაწიერს გაეცლებაო, ბიჭმა ხელები დაჭრილი ფრინველივით აიქნია,



წელში გაიზნიქა, რაღაც სასწაულით წონასწორობა შეინარჩუნა და აცაბაცა ნაბიჯით კვლავ დაბლა დაეშვა.

— ხომ არ მოგეშველოთ, ფროილაინ? — გალანტურად შესთავაზა ჰანს ფისნერმა. — როგორც ჩანს, საკმაოდ კერკეტი კაკალია!

ქალმა ისე გაასავსავა ღონეგამოცლილი, დაბუჟებული ხელები, რომ მისკენ არც მიუხედავს. ესესელ ოფიცერს ახლა მისი სასოწარკვეთილი სახისათვის წამიერადაც რომ მოეკრა თვალი, ბიჭს ვეღარაფერი იხსნიდა.

მარია ადამოვნამ ორთავე ხელის თითები ერთმანეთში ჩააწნა, უროს მტყორცნელივით სანახევროდ შეტრიალდა და ვიდრე მომუშტულ ხელებს გაიქნევდა, ტყვეთა კოლონიდან ვიღაცამ იღრიალა: „გეყოფა, მწვალებელო!“

მაინც შემოჰკრა, კეტივით მორტყა ყბაში. გენკა მოცელილივით დაეცა, მიწას ჯერ თავი დაჰკრა და მერე ფეხები, მაგრამ გრძნობა მაინც არ დაუკარგავს, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მახრჩობელა გველი შემოეგრაგნა ყელზე, სული შეეხუთა, ყურებში კრაზანები აუბზუვლდნენ.

ქალმაც იგრძნო, რომ მუხლი ეკვეთებოდა, მაგრამ აზროვნება კვლავინდებურად ნათელი და მიზანსწრაფული ჰქონდა. „ამათი ნდობა დაუშვებელია, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი, რაღაც უნდა ვიღონო...“ — ფიქრობდა და წაქცეულ მოწაფეს, ეჭვი რომ არავის აეღო, ყელში ხელები წაუჭირა, ვითომ ახრჩობდა, სინამდვილეში კი ისეთი გამწარებული სიყვარულით ეფერებოდა, რომ აკივლებასა და ისტერიკას აღარაფერი უკლდა.

— გენოჩკა, ძვირფასო, მაპატიე, — მუდარით ჩურჩულებდა, — სხვა გზა არა მაქვს, რა ვქნა, რა ვიღონო?! — თან მთელი სხეულით ეკვროდა, ფარივით ეფარებოდა და მალავდა.

და უცებ მარია ადამოვნას სისხლი გაეყინა. მან გარკვევით გაიგონა ბიჭის ხმა.

— ბოროტო, გველო, ფაშისტო! — დამარცვლით ამბობდა ის და ყოველ სიტყვაზე ნათქვამს სიმძლავრე ემატებოდა. უმთავრესი საშინელება კი ის იყო, რომ ბიჭი ლანძღვას გერმანულად წარმოსთქვამდა. ტყუილად ხომ არ იყო მისი საუკეთესო მოწაფე! თუმცა, ეს გამოთქმები ხომ არასოდეს უსწავლებია, არც მისთვის და არც სხვისთვის...

ქალმა გუმანით იგრძნო, რომ ოფიცერი უახლოვდებოდა. არ დაუნახავს, არც ფეხის ხმა ჩასმენია, მაგრამ იცოდა, ალღო არ ატყუებდა, ბიჭის ხმა კი უფრო და უფრო შესამჩნევად ჟღერადი ხდებოდა.

და მაშინ მარია ადამოვნამ უკანასკნელი ხერხილა იხმარა, ფრჩხილებით ქერჩის ტალახიანი მიწა მოფხოჭნა, მუჭაში მოიქცია და ბიჭს პირი ამოუგლისა.

უნტერ-შტურმფიურერი, რომელიც უკვე თავზე წასდგომოდა, მისმა მოქმედებამ პირდაპირ აღაფრთოვანა. სიამოვნებისაგან ახარხარდა: მისი იუმორი მხოლოდ მაშინ ილვიძებდა, როდესაც ვინმეს წამებას ანდა დამცირებას შესცქეროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლადო სულაბერიძე

### გიორგი ნაფეტვარიძის სახელობის პიონერულ რაზმს

რაზმის ხაზზე
სწორდით!
სწორდით!
გმირისაკენ სწორება!
თქვენ აგრძელებთ იმის საქმეს,
ადრე შემწყდარ ცხოვრებას.
არ დაუთმო მტერს მამული,
მამულს თქვენთვის იცავდა.
მომავლის მზე ენთო რწმენად,
ერთგულების ფიცადაც.
სიტყვა დაუმთავრებელი
დარჩა მთად და ბარადა, —
გაასრულეთ
მისი ლექსი,
პოემა და
ბალადა.
მხოლოდ თქვენი დარდი ჰქონდა,
მხოლოდ თქვენზე მღეროდა.
თქვენ გხედავდა
ორმოციან
წლების საქართველოდან.
ჰოდა, სწორდით!
ისე სწორდით,
მას რომ მოეწონება!..



რაზმის ხაზზე,
რაზმის ხაზზე,
გმირისაკენ
სწორება!

### გამარჯვების პარკი

გამარჯვების პარკში შედის
ლელა,
ლადი
და ნათელა.
იქ ნაძვია, იქ — ჭადარი,
იქ—ურთხმელა, თანაც თელა.
ქართველის დედის ჩრდილი
უცნობ
ჯარისკაცის ცეცხლთან თბება.
ქება!
ქება!
გამარჯვების
ჯარისკაცებს
ქება!
ქება!
სულ ეპოვნოთ სამშობლოსთვის
დასამშვენი საპოვნელა
გამარჯვების მზიან პარკში
ლადის,
ნათელას და
ლელას!

„ნამდვილი ძუ მგელია, — გაიფიქრა ქალის დაუნდობლობით მოხიბლულმა. — როდესაც დავბრუნდები, აუცილებლად ვინახულებ“.

იგი კიდევ აპირებდა ამ დიდებული სცენით ტკბობას, მაგრამ ზურგს უკან მდგომმა ფელდფებელმა მორიდებით წასჩურჩულა:

— ბატონო შტურმფიურერო, ვკადნიერდები და შეგახსენებთ, რომ ვაგვიანებთ, ვაითუ შტანდარტენფიურერმა გვისაყვედუროს.

ჰანს ფისნერი გონს მოეგო, დაფრთხა კიდეც, იარაღი ბუდეში ჩააბრუნა და თავს ზევით ხელი გაიქნია.

ტყვეთა კოლონა ნავსადგურისკენ დაიძრა.

●

ათიოდე წუთის შემდეგ ოკუპირებული ქალაქის ერთ-ერთი ეზოს ბინადარნი გაოცებულნი უცქერდნენ თავით ფეხებამდე ტალახით მოთხვრილ ახალგაზრდა ქალს, რომელიც არანაკლებ მოზუზნულ, ფერდაკარგულ ბიჭს ონკანთან პირს ბანდა, მალიმალ გულში იხუტებდა და აცრემლებული პატიებას სთხოვდა.

●

იმავე დროს კატარღის კიჩოზე მდგარ ჰანსს რაღაც გაახსენდა და ერთ-ერთი ხელქვეითი იხმო.

— ოტო, — უთხრა, — თუ არ ვცდები, თქვენ ერთ დროს ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობდით.

— დიახ, ბატონო უნტერ-შტურმფიურერო.

— მაშინ ამიხსენით, რას გულისხმობს გამოთქმა: „ვინც ქარს დასთესს, ქარიშხალს მოიმკის“.

ოტომ ცოტა ხანს იყუჩა, სათქმელი გაიაზრა:

— ბოროტების მქნელს, ადრე თუ გვიან, იგივე ბოროტება ათმაგად მიეზღვება.

ოფიცერმა ჯარისკაცს ხელი აუქნია, გაათავისუფლა, თავად კი ღრმად ჩაფიქრდა.

მიუხედავად გულმოდგინე განსჯისა, იგი ამჯერად ვერ მიხვდება ვერც ბიბლიური სიბრძნის ღრმა აზრს და ვერც განმარტების ჭეშმარიტებას.

მაგრამ დადგება დრო, როდესაც ჰანს ფისნერი გაიხსენებს ამ ნათქვამს და მის აზრობრივ სიღრმესაც სრულად ჩასწვდება.

და ეს მოხდება 1945 წლის აპრილის დამლევს, ბერლინის მისადგომებთან...

# იქ, ქარიშხალში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 წლისა იყო აკაკი გეწაძე, როცა, 1942 წლის იანვარში ომში გაიწვიეს. 19 წელი სტალინგრადის ფრონტზე შეუსრულდა. მაშინ იგი გვარდიული ნაღმსატყორცნების, „კატიუშების“ დამცველ ოცეულში ირიცხებოდა. ტყვიამფრქვევითა და ტანკსაწინააღმდეგო თოფით იბრძოდა სტალინგრადში. 1943 წლის ივლისში მონაწილეობდა კურსკის შვერილზე გამართულ გრანდიოზულ ბრძოლაში, — საზენიტო ორლულიანი ტყვიამფრქვევით იცავდა ცეცხლის ხაზზე გასულ „კატიუშებს“, შემდეგ კი თვითონ გახდა „კატიუშას“ მეთაური. ბრძოლით გაიარა უკრაინა, მოლდავეთი, რუმინეთი, უნგრეთი და გამარჯვების დღეს ჩეხოსლოვაკიაში, პრაღის მისადგომებთან შეხვდა. დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, მედლით „მამაცობისათვის“ და სხვა საბრძოლო მედლებით. ცხრაჯერ დაიმსახურა უმაღლესი მთავარსარდლის, ი. სტალინის მადლობა.

1953 წელს გამოვიდა ა. გეწაძის ფრონტული და ომის შემდგომ დაწერილი ლექსების პირველი კრებული „ჩემი ასეული“. ახლა იგი ორმოცამდე წიგნის ავტორია. ფრონტულ ცხოვრებას მიუძღვნა მან რომანები „მუზარადში ამოსული ყვავილი“ („წმინდანები ჯოჯოხეთში“) და „გზააბნეული ეშელონი“, მოთხრობები — „ჟამი ყაყაჩოს გაშავებისა“, „ლაზარეს წყარო“, „სადგურიდან სადგურამდე“, „უკანასკნელი ტყვია“, „გაცვეთილი ფირფიტა“, „გვირილების დედოფალი“ და სხვ., აგრეთვე პიესები: „მზე ცრემლში“, „პაემანი ცაში“ „მე გავქავდები ქანდაკებად“. ომგადახდილი მწერალი ხშირად აქვეყნებს ფრონტულ მოგონებებს. გთავაზობთ მის ორ მოგონებას.



აკაკი გეწაძე

## ჩემი თანაპოლკელი ქართველები

1942 წლის 15 სექტემბრის საინფორმაციო ბიუროს ცნობაში ნათქვამია:

„გერმანელებმა თავიანთი ძალები გადააჯგუფეს და კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე. ჩვენმა გვარდიულმა ნაღმტყორცნელებმა მტრის მოძალება მოიგერიეს. მარჯვე ცეცხლითი მანევრებით მათ დიდძალი ჰიტლერელი გაჟლიტეს და ფაშისტთა ორმოცი ტანკი დასწვეს“.

შემდეგ დღეებში საინფორმაციო ბიურომ რამდენჯერმე კვლავ მოიხსენია გვარდიული ნაღმტყორცნელების თავდადებული ბრძოლა. უეჭველია, ამ გვარდიულ ნაღმტყორცნელებში ჩვენი პოლკი იგულისხმებოდა, რომელსაც პოდპოლკოვნიკი დოროფეევი მეთაურობდა.

ამ პოლკში იმ დროს თექვსმეტი ქართველი ვიბრძოდით. მტრის შემოტევებს ტანკსაწინააღმდეგო თოფებით ვიგერიებდით.

ჯოჯოხეთურ ორომტრიალში ჩემს გვერდით იყვნენ ამბროსი გოგობერიშვილი და ლევან მახათაძე, ქიშვარდი კობახიძე და დავით გონგაძე (დავითი სწორედ ვოლგის ბექობებთან დაიჭრა მძიმედ). სხვა პოზიციას იცავდა ჩვენი პოლკის თვრამეტი ქართველი: შალვა ბანძელაძე, პეტრე ზედაშიძე, აველი ლაიშვილი, ქორა კობახიძე, შოთა მაისაშვილი, დავით ბარსონიძე, ვასო არჩუაძე, მიხეილ შიშინაშვილი, აკაკი კაციტაძე, ფირუზ ბაბუხაძე და შამშე კობახიძე.

პოლკის მეთაური დოროფეევი ქართველ მებრძოლებს არწივებს გვეძახდა. ჩვენც თავს არ ვიზოგავდით, ეს სახელი რომ გაგვემართლებინა და საქართველო გვესახელებინა. მტერმა ვოლგის წყლით ცხელი შუბლის გაგრილება რომ ვერ მოახერხა, ეს ჩვენი პოლკის ქართველი ბიჭების დამსახურებაც გახლავთ.

სწორედ აქ, ვოლგისპირა ბექობებთან შეჩერდა გერმანელთა სამხედრო მანქანა. აქ დაიმსხვრა ჰიტლერელთა ზრახვები, აქ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. გამოჩენილმა მწერალმა ილია ერენბურგმა ტყუილად როდი თქვა ომის დროსვე: მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის“ იგივეა, რაც მედალი „ბერლინის აღებისათვის“.

ვინც იმ მრისხანე ჟამს, კრიტიკულ მომენტში ვოლგისპირა ბექობებს იცავდა, მე თუ მკითხავენ, ყველა გმირი იყო, თუმცა მაშინ, დარწმუნებული ვარ, ამაზე არც ერთ იქ მყოფ ჯარისკაცს არ უფიქრია, რადგან ისინი ამ თავგანწირულ ბრძოლას ჩვეულებრივ ფრონტულ ამბად მიიჩნევდნენ. ეს იყო ამ გმირობის მთავარი ღირსება — ბუნებრიობა და ჩვეულებრიობა.

არც ერთ სამხედრო წესდებაში არ წერია და ვერც ერთი მეთაური ვერ გიბრძანებს, ამბრაზურას მკერდით გადაეფარე, როცა იქიდან მტრის ტყვიამფრქვევი სიკვდილს თესავს. ეს ხდება თავისთავად — ნამდვილ გმირობას ბრძანება არ სჭირდება. ჩვენც ასე ვიცავდით მაშინ სტალინგრადს — ჩვეულებრივი ჯარისკაცური თავდადებით და ქვეყნის წინაშე მოვალეობის სრული შეგნებით.

ჩვენმა პოლკმა სტალინგრადიდან პრაღის მისადგომებამდე იბრძოლა და თექვსმეტი ქართველიდან სირცხვილი არავის უჭამია, რამდენიმემ კი თავიც გასწირა ჩვენი გამარჯვებისათვის.

აი, ოთხი მათგანი:

**აველი ლაიშვილი.** ბრგე ვაჟკაცი, ნამდვილი ფალავანი. ვისაც დაეჭიდებოდა, ელვის სისწრაფით მიწას გააკრავდა. ტანკსაწინააღმდეგო თოფით იბრძოდა მამაცურად. ეს ბრგე ვაჟკაცი მაინც არ იყო თოფის კაცად

გაჩენილი, როგორც იტყვიან, ბულბულად დაბადებული გახლდათ. თვითონ ხომ ტკბილი, საამო ხმა ჰქონდა, ჩვენც გვამღერებდა ხოლმე.

ფრონტულ დღიურში მოკლედ მიწერია: 6 ივლისი (43 წ.). დაიღუპა ჩვენთვის საყვარელი და დაუვიწყარი მეგობარი, აველი ლაიშვილი. დასაფლავებულია კურსკის ოლქში, სოფელ სუხაია სალატაში.

ეს ის დროა, კურსკის მიწა-წყალზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები რომ გაჩაღდა. აქ დაეცა სტალინგრადის ქარცეცხლგამოვლილი მამაცი მებრძოლი.

იმის შემდეგ ქართველ ბიჭებს ერთად აღარ გვიმღერია.

და მე მაინც მგონია, რომ აველი ლაიშვილის ხმა სადღაც კვლავ ცოცხალია, რადგან ცოცხალია ის, რისთვისაც თავად იბრძოდა, რასაც უმღეროდა...

**ჟორა კობახიძე.** მუდამ მხიარული ბიჭი, სასტიკ ბრძოლაშიც რომ არ კარგავდა მხნეობასა და სულის ახოვანებას. 43 წლის 12 აგვისტოს, ქალაქ ხარკოვის გათავისუფლების შემდეგ ქალაქი ბოგოდუხოვო გავათავისუფლეთ. ეს ქალაქი ომისგან ხელუხლებელი იყო, მაგრამ სულ რაღაც ნახევარ საათში სვასტიკიანმა თვითმფრინავებმა ექვსჯერ ზედიზედ დაგვბომბეს და მთელი ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია, ნაცარტუტად იქცა. იმ დღეს დაიჭრა მესამედივიზიონელი ჟორა კობახიძე, ჯერაც პირტიტველა ბიჭი, უცოლშვილო, სტალინგრადის ბრძოლებში რამდენჯერმე ბეწვზე გადარჩენილი. დაჭრილი წაიყვანეს და... მარადისობაში ჩაიძირა.

**შალვა ბანძელაძე.** 1942 წლის აგვისტოს დამდეგია. მოსკოვში ვართ, წითელ ყაზარმებში. ოცამდე ქართველი ჯარისკაცი ღამით გადაგვარჩიეს და სადღაც წაგვიყვანეს.

დილაა. ახოვანი ნაძვის ხეები დინჯად დაჰყურებენ ახლად გაღვიძებულ ჯარისკაცთა საველე მწვანე კარვებს. ისეთი ხშირი ტყეა, ცა ტოტებშორის დარჩენილი ჭუჭრუტანებიდან ძლივს ილანდება. ზაფხულის ნიავი ისვენებს. ხეებს პაწაწინა წიწვებიც კი არ ერხევა.

სერჟანტმა ტყეში მოლიკლიკე რუსთან ჯარისკაცები მოიყვანა პირის დასაბანად. წელზე პირსახოცშემორტყმულმა, წელზემოთ გაშიშვლებულმა ჯარისკაცებმა აახმაურეს იქაურობა..

ყველას ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებ. ყურადღებით ავხედდავხედე პირხმელსა და ტანდაბალ სერჟანტს, პირსახოცი მხარზე რომ გადაეგდო.

— ამხანაგო სერჟანტო, სადაური ხართ? — ვკითხე რუსულად.

გამიღიმა და ქართულად მომიგო:
— ლეჩხუმელი ვარ. ყოფილხარ ჩვენში?

— სულ იმ გზით არ დავდივარ? რაჭველი ვარ.

შორეულ მხარეში ქართველი კაცი რომ ქართველს შეხვდება, თითქოს დიდი ხნის შემდეგ საქართველო ნახაო, ისე უხარია.

— ბანძელაძე ვარ, შალვა, — გამაცნო თავი, — მესამე დივიზიონში „კატიუშა!" გუნდი ჩამაბარეს. თუმცა ჯერ არ მიგვიღია. შენ რომელ დივიზიონში ხარ?

— წუხელ მოგვიყვანეს აქ, ჯერ არაფერი უთქვამთ. არც ის, „კატიუშას"პოლკში თუ მოგვიყვანეს...

პირველ დივიზიონში გამამწესეს ოთხ ქართველთან ერთად. „კატიუშების" დამცველი ოცეულის ჯარისკაცებად ვიქეცით.

ეს მოხდა მოსკოვის მახლობლად. იზმაილოვის ხშირტევრიან ტყეში.

იმავე აგვისტოს მიწურულში ჩვენი პოლკი უკვე სტალინგრადს მიადგა. ვოლგა გემით გადავცურეთ.

სახლების ნაცვლად ბევრგან ჩონჩხადქცეული კედლები აყუდებულა, ალაგ მხოლოდ აგურია დახვავებული. დაუზიანებელ შენობას კანტიკუნტად თუ მოჰკრავ თვალს. ქალაქი ცეცხლშია გახვეული, ცა — ტყვიისფერ კვამლში.

ჩვენი პოლკის სამივე დივიზიონი ერთმანეთის მეზობლად განლაგდა — თეატრის მახლობლად, გორკის ბაღში.

„კატიუშებს" ასე სჩვეოდათ: გავიდოდნენ წინა ხაზზე, ჰკურავდნენ — ამ ცეცხლისკუდიან ეშმაკებს — მტრისკენ გააფრენდნენ და „შინ", თავშესაფრებისკენ გამობრუნდებოდნენ სწრაფად. შემდეგ იმ ადგილს, საიდანაც „კატიუშებმა" ისროლეს, მტერი ნაღმებსა და ყუმბარებს უშენდა განუწყვეტლივ. ხშირად „კატიუშელებს" ტყვიასაც აყრიდნენ ჩვენი ჯარის განლაგებაში შემოპარული ფაშისტი მეავტომატეები. ჰოდა, ჩვენი ოცეულის ჯარისკაცები მუდამ დავყვებოდით თან, ტყვიამფრქვევებითა და ტანკსაწინააღმდეგო თოფებით ვდარაჯობდით „კატიუშებს" საცეცხლე ხაზზეც და გზაზეც.

მესამედივიზიონელი სერჟანტი, „კატიუშას" გუნდის მეთაური შალვა ბანძელაძე იმ დღეებში რამდენჯერმე ვნახე. ეს პირხმელი, ჩია ბიჭი ბრძოლაში ნამდვილი ცეცხლი იყო, ერთ მშფოთვარე დღეს ცხრაჯერ მოუხდა „კატიუშათი" ცეცხლის ხაზზე გასვლა და ცხრაჯერვე გამარჯვებული დაბრუნდა „შინ", საფარში. ოფლად გაღვარულს პირისახეზე მტვერი ტალახად ედო. მართალია, სისხლიანი სტალინგრადი იმ დროს წყალგამშრალი იყო, მაგრამ წყალი კიდევაც რომ ეშოვა, ეტყობა, პირზე წყლის შესასხმელადაც არ ეცალა... და ეს ლოყებტალახიანი იმ დღეს ყველაზე პირნათელი იყო სამშობლოსა და ჯარისკაცური მოვალეობის წინაშე.

— რა სხვანაირად შემომხედე, ჩვენებურო, პირდაუბანელი რომ ვარ, გიკვირს? რას იზამ, ჯერ ერთი, აქ ახლა წყალი აღარსადაა და კიდევაც რომ იყოს, მცალია? არაფერია — შალვამ სახეზე ხელი ჩამოისვა, — სულ ასე კი არ იქნება, ჩავაძაღლებთ ამ ოხერ ომს და მერე მე და შენ რიონში ერთად გავტოპ-გამოვტოპავთ, ისევ გავლამაზდებით.

— შენს პირს შაქარი!

მაშინ მე ცხრამეტი წლისაც არ ვიყავი, პირს იშვიათად ვიპარსავდი, არც ულვაში მქონდა. შალვა ჩემზე სამი-ოთხი წლით უფროსი იქნებოდა.

ცამეტ სექტემბერს, მტერმა გააფთრებით რომ შემოგვიტია და უკან დაგვახევინა, შალვა სტალინგარდის

ერთ-ერთ ქუჩაში, ბარიკადთან ვნახე, შაშხანით ხელში.

— „კატიუშა“ სად გყავს?!

— „კატიუშები“ ვოლგის ბექობთან შევნიღბეთ. მტერი ისე მოახლოვდა, მანევრების საშუალება აღარა გვაქვს, ვერ ვისვრით და... ახლა ასე სჯობს. თოფით უნდა დავიცვათ „კატიუშებიც“, ქალაქიც და ჩვენი თავიც.

არ ვიცი, ის ბარიკადა რომელ ქუჩაზე იყო, ქუჩის აბრა-წარწერას ვინღა იპოვნიდა, როცა იქ თითქმის ყველა სახლი ჩონჩხადღა იდგა.

ვიცოდით, მტერი ვოლგისაკენ ეშურებოდა, და არ უნდა გაგვეშვა. არც გავუშვით.

ვინაიდან „კატიუშებს“ ქალაქში მოქმედება აღარ შეეძლოთ შე[...]გომაზე პოლკი ყალმუხეთის შიშველ ველზე გადაისროლეს.

19 სექტემბერს დიდი იერიში დავიწყეთ და სტალინგრადში მოკალათებულ ფრიცებს ალყა შემოვარტყით. ამ ოპერაციაში ჩვენი პოლკიც აქტიურად მონაწილეობდა.

მალე მტერმა გარედან დააპირა ალყის გარღვევა და თავისიანების გათავისუფლება. დაიწყო მძაფრი ბრძოლები.

თორმეტი დეკემბერი. ჩვენი დივიზიონი სოფელ ნებიკოვოსთან დგას. გარიჟრაჟზე, დილის ბინდბუნდში მინდორს ქუფრი ღრუბლივით წამოეგრაგნა მტრის ტანკების ჯოგი. ცა თვითმფრინავებმა დააბნელეს. დაიწყო „კატიუშებისა“ და სვასტიკიანი ტანკების დუელი. ცეცხლის კალოს იმ ორომტრიალში ჩვენმა დივიზიონმა თავისი შემადგენლობის ორი მესამედი დაკარგა.

უკან დავიხიეთ.

ბრძოლაში მესამე დივიზიონი ჩაება.

თვრამეტი დეკემბერი. სერჟანტმა შალვა ბანძელაძემ „კატიუშა“ რამდენჯერმე კენტად გაიყვანა ცეცხლის ხაზზე და მარტოდმარტო შეერკინა მტერს. მაშ რა ექნა, თუკი მისი ბატარეის დანარჩენი სამი საბრძოლო მანქანა მწყობრიდან იყო გამოსული! ბრძოლაში მეშვიდედ რომ გადიოდა, სადგურ ჟუტოვოს აღმოსავლეთით ლიანდაგის გზის ასაქცევ პატარა ბაქან „ზარიას“ ახლო, ხიდთან, მტრის მეავტომატეთა დიდმა ჯგუფმა ბანძელაძის „კატიუშა“ ალყაში მოაქცია. სერჟანტმა გუნდი ჩაასანგრა და გერმანელთა იერიში მოიგერია... მოიგერია რამდენჯერმე. „კატიუშაც“ გადაარჩინა, თავისი ყველა მებრძოლიც, თვითონ კი უთანასწორო ბრძოლაში ვაჟკაცურად დაეცა.

მე იქ არ ვყოფილვარ. ბანძელაძის ამბავი მისმა ჯარისკაცებმა შემატყობინეს: თვრამეტი ტყვია მოხვდაო...

დაჯილდოებულთა შორის მისი გვარი არსად შემხვედრია. რას ვიზამთ, ომში იმდენი კვამლი და ბურუსია, იმდენი ძავიდარაბა ხდება, ყველა ჭეშმარიტი გმირის შემჩნევა როდი ხერხდება. მაგრამ მე ხომ ვიცი, შალვა ბანძელაძე ნამდვილი გმირი იყო, შეუპოვარი, თავდაუზოგავი მებრძოლი... მაშასადამე, მისი გმირობა კვლავ ცოცხალია. იგი ჯილდოს მისაღებად კი არა, თავისი ქვეყნის გადასარჩენად იბრძოდა. და მისი ქვეყანა გადარჩა, სწორედ ამგვარი გმირების თავდადებით გადარჩა...

გოდოგნელი **პეტრე ზედაშიძე** ესეც შალვა ბანძელაძის დივიზიონელი იყო და ისიც იმ დღეებში დაიჭრა.

პეტრე ზედაშიძე ერთი ჩვეულებრივი მეურმე კაცი იყო, ოჯახის მამა. ქუთაისიდან ონში კამეჩებით ბევრჯერ ჩაუტანია ნავთი და მარილი, სხვა საქონელიც (მაშინ რაჭის გზაზე ამდენი ავტომანქანა როდი დაგრიალებდა). აი, ეს მეურმე კაცი სტალინგრადის ბრძოლებში დაიჭრა, მერე ისევ ჩვენს პოლკს დაუბრუნდა, ჩვენი დივიზიონის მეორე ბატარეაში გამოგზავნეს და „კატიუშას“ მეთაური გახდა. კურსკის ბრძოლებში თითქმის ყოველდღე რამდენჯერმე გადიოდა ცეცხლის ხაზზე. მოგეხსენებათ, „კატიუშას“ ბევრი მტერი ჰყავდა. ავიაცია გააფთრებით



ნადირობდა მასზე, მიწაზეც ხშირად გვისაფრდებოდნენ. ჰოდა, ერთი ასეთი საბრძოლო გასვლის დროს ფრიცებმა ხელყუმბარები დაუშინეს პეტრეს „კატიუშას" და... სწორედ პროხოროვკის მიდამოებში, სადაც ვარსკვლავიანი და სვასტიკიანი ტანკების უდიდესი ბრძოლა გაიმართა, ტყის პირას თავს დავსტრიალებდით ცეცხლის ხაზიდან გამოყვანილ „კატიუშას" მეთაურს, მძიმედ დაჭრილ ქართველ ვაჟკაცს. გვინდოდა, როგორმე მივშველებოდით, გადაგვერჩინა. დაჭრილი უხმოდ, ხელით გვანიშნებდა, ნუღარ წვალობთ, მომასვენეთ, აღარაფერი მეშველებაო. ერთი ცრემლი გადმოუვარდა და თვალგახელილმა დალია სული. არ ვიცი, ის ცრემლი რას ნიშნავდა, იქნებ იმ წუთში ოჯახი მოაგონდა და...

„კატიუშას" ჭურვების ყუთისაგან სახელდახელოდ შევკარით კუბოსმაგვარი რაღაც. შიგ ჩავაწვინეთ პეტრე, გვერდით მოვუწვინეთ იმ დღეს დაღუპული ბატარეის პარტორგი (რუსი თუ უკრაინელი იყო, გვარი აღარ მახსოვს) და სიკვდილის ძმები ერთად დავკრძალეთ სასწრაფოდ, რადგან ახალი საბრძოლო დავალება მივიღეთ და იმ ადგილას გაჩერება აღარ შეგვეძლო.

ჩემს დღიურში იმ დღეს ასეთი ჩანაწერი გაჩნდა:

„23 ივლისი. კრასნი დუბრავასა და სირცოვოს ახლოს დაიღუპა ზედაშიძე პეტრე. მისამართი: ქუთაისი, ს. გოდოგანი. გიგო ზედაშიძე".

მაშინ ჩვენ იმისთვისაც კი არ გვეცალა, თანამებრძოლი ამხანაგი, გულადი ჯარისკაცი წესიერად მიგვებარებინა მიწისთვის, და საფლავზე ცრემლები დაგვეყარა.

აი, რამდენიმე წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ბრძოლაში დაღუპული ქართველი უმცროსი მეთაურის თვალები თითქოს თან დამყვებიან. ჩემს სულში ის მავედრებელი თვალები ახლაც უწინდებურად ცოცხლობენ... გახელილი თვალები...

დიახ, ჩვენ მაშინ იმისთვისაც არ გვეცალა, თანამებრძოლი ჯარისკაცის საფლავზე ცრემლი დაგვეღვარა..



## ერთი უნგრული ხიდის ამბავი

ომის დროს ბევრი დამწვარ-დანგრეული სოფელ-ქალაქი ვნახე, მაგრამ განსაკუთრებით დამამახსოვრდა ორი დიდი იავარქმნილი ქალაქი: რუსეთის დედა-მდინარე ვოლგასთან — სტალინგრადი, ევროპის დედა-მდინარე დუნაიზე — ბუდაპეშტი. სტალინგრადი გერმანელმა ფაშისტებმა დაგვიწვეს და დაგვინგრიეს ულმერთოდ, ბუდაპეშტიც ფაშისტების ავკაცობამ დაანგრია უმოწყალოდ. დიახაც გვინდოდა, დანგრევისაგან გვეხსნა ეს ქალაქი, ალყაში მოქცეულ ფაშისტებს სამშვიდობო მისიით პარლამენტიორები გავუგზავნეთ, მათ კი უგულვებელყვეს საერთაშორისო კანონი და პარლამენტიორები ვერაგულად დაგვიხოცეს, რითაც ბუდაპეშტი დასანგრევად გასწირეს.

1945 წლის იანვარში, როცა გააფთრებული ბრძოლები მძვინვარებდა, ჩემი საბრძოლო მანქანით (მაშინ „კატიუშას" ვმეთაურობდი) გადავიარე პეშტისა და ბუდას შემაერთებელი ერთადერთი მოქმედი, თუმცა დაზიანებული ხიდი.

სწორედ იმ ხანად ფრონტულ გაზეთში ამოვიკითხე: ფაშისტების მიერ დანაღმული ერთ-ერთი დიდი ხიდი ბუდაპეშტის მისადგომებთან მოხერხებულად განაღმა და აფეთქება-დანგრევას გადაარჩინა მესანგრე ვახტანგ ბაბილოძემ. ეს ცნობა უბის წიგნაკში ჩავინიშნე — ამგვარ ამბავზე, თუ ომიდან შინ მშვიდობით დაბრუნება მეღირსებოდა, პიესის დაწერა მქონდა განზრახული.

ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, ფრონტულ უბის წიგნაკს რომ ვფურცლავდი, წავაწყდი ამ ჩანაწერს და ბუდაპეშტის მახლობლად ხიდის გადარჩენის ამბავი ამჟამად უფრო საყურადღებოდ მეჩვენა. მაშინ, როცა ფაშისტები არაფრის დანგრევას და განადგურებას არ ერიდებოდნენ, ქართველმა კაცმა უნგრელებს ხიდი გადაურჩინა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად.

ფრონტულ უბის წიგნაკში ჩაწერილი იმდროინდელი ამბავი სიმბოლურადაც კი წარმომესახა. ხიდს ხომ უნგრულადაც ხიდი ჰქვია და უნგრული ხიდის გადარჩენითაც იგებოდა მეგობრობის ის დიდი ხიდი, რომელიც ამჟამად აკავშირებს ერთმანეთთან უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს!.. და არა მარტო უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს, არამედ ომის შემდგომ შექმნილ ყველა სოციალისტურ ქვეყანას... ჩვენ ხომ ამ მეგობრობისათვის ვიბრძოდით!

ჰოდა, 1980 წლის 4 აპრილის გაზეთ „კომუნისტში" გამოვაქვეყნე პატარა წერილი: „რა ბედი ეწია ვახტანგ ბაბილოძეს?"

პასუხმა როდი დაიგვიანა: რედაქციაში მოვიდა სასიხარულო ცნობა — უნგრული ხიდის გადამრჩენელი ვახტანგ ბაბილოძე თვითონაც გადაურჩა ომს და ამჟამად უკვე ბაბუა გახლავთ (ახლა მეც ბაბუა ვარ, სხვათა შორის).

და აი, „უცნობი ნაცნობები" 35 წლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს.

აქ კი, ჯობს, თვითონ ვახტანგს მოვუსმინოთ:

...მამა არ მახსოვს, ობლებს დედა გვზრდიდა. ათი-თორმეტი წლისა უკვე ვმუშაობდი. სოფელი, მიწა და შრომა ბავშვობიდანვე მიყვარდა.

დავიბადე მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში, 1924 წელს. ახლაც იქ ვცხოვრობ და სახელოვანი გივი წითლიძის კოლმეურნეობაში ვმუშაობ.

ომი რომ დაიწყო, ჩემი უფროსი ძმა, ალიოშა, არმიაში მსახურობდა, მეორე უფროსი ძმა, ვარლამი, ომის დაწყების მესამე დღეს გაიწვიეს ომში. ისინი აღარ დაბრუნებულან.

ფრონტზე მოხალისედ წავედი 1942 წლის 14 მარტს. პირველად ბაქოში მოვხვდი, სამოცდამეხუთე მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონში. ექვსი თვე გვამეცადინეს და მივაშურეთ ფრონტს.

მოზდოკის მისადგომებთან დავიჭერი. გვიანი შემოდგომა იყო. მძიმედ ვიყავი დაჭრილი, ხუთ თვეს ვტკეპნე ჰოსპიტლის ლეიბი. მერე ორას სამოცდამეათე ცალკეულ ბატალიონში გამამწესეს. აქ სახელდახელოდ შემასწავლეს მესანგრეობა — ნაღმების ჩაწყობა და ადგილმდებარეობის განაღმვა. უკრაინის მეორე ფრონტზე ხან განაღმვა მიხდებოდა, ხან ნაღმების ჩაწყობა.

ალბათ გაგიგონიათ, მენაღმე თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ სცდება და... იმის გაგებასაც ვერ ასწრებს, რომ შეცდა. ამ საქმეს ბევრი ეწირებოდა.

ჩვენს ბატალიონს ხან სად გადაისროდნენ და ხან — სად. ასე გავიარე უკრაინა, მოლდავეთი, ვიბრძოდი რუმინეთში, სადაც მეორედ დავიჭერი, მაგრამ ჭრილობა მსუბუქი იყო და ჰოსპიტალში წასვლაზე უარი ვთქვი. არ მინდოდა ბატალიონის მიტოვება. ამის შემდეგ ბრძოლები თითქმის აღარ შეგვხვედრია უნგრეთამდე, იქ კი ბევრჯერ გაგვიჭირდა. ადრინდელი ცალკეული ბატალიონის მესანგრეთაგან თითებზე ჩამოსათვლელნიღა დავრჩით. ჯერ კიდევ ბუდაპეშტის ბრძოლებამდე დუნაიზე გავდეთ ნავტიკების ხიდი. ისეთი მტკიცე, რომ ზედ ტანკებიც გადადიოდნენ. ერთობ ძვირი კი დაგვიჯდა ამ ხიდის გამართვა...

მესანგრეს ზურგზე სანივთე ტომარასავით ჰკიდია ყუთი — ნაღმსაძებნი თავისი ბატარეებით. ხელში კი მჩხრეკელი უჭირავს: თუ ნაღმია სადმე, ნიშანს გაძლევს, ყურებში ჩაგწივის.

იმ ხიდზე, რომლის ამბავიც გაზეთში ეწერა, ნაღმების ძებნა არ დაგვჭირვებია, ისედაც ვიცოდით, დანაღმული რომ იყო. ფაშისტები ვარაუდობდნენ, საბჭოთა ტანკები მოტყუვდებიან და ზედ შედგომისთანავე ხიდთან ერთად აფეთქდებიანო.

იმ დღეს ძალიან ციოდა, მდინარე გაყინული იყო. ხიდის მისადგომებთან იცდიდნენ ჩვენი ტანკები, ქვემეხები და ქვეითები. ასე რომ, ამ ხიდის დროულად განაღმვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ჯარის წინსვლისათვის. ბატალიონის მეთაურმა ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად მესანგრეები გაგზავნა ხიდის გასანაღმავად, მათ შორის რამდენიმე — ჩემი ოცეულიდანაც (მართალია, სერჟანტი ვიყავი, მაგრამ ოცეულს ვმეთაურობდი). სამწუხაროდ, ყველა დაიღუპა, რადგან მტერი გაღმიდან ამ ხიდის არემარეს საგანგებოდ უთვალთვალებდა და განუწყვეტლივ უშენდა ტყვიასაც და ჭურვებსაც. ახლაც გულისტკივილით ვიგონებ ჩემს დაღუპულ თანამებრძოლებს.

ავდექი და ბატალიონის მეთაურს ვუთხარი, მე ვცდი ბედს-მეთქი. დამეთანხმა, ოღონდ მკითხა, ვის გაიყოლებო. მარტოკა წავალ, ასე აჯობებს, უფრო ვერ შემამჩნევენ-მეთქი.

მე ძაღლის ალიონზე გავყევი მდინარის გაყინულ ნაპირს. ხიდს რომ მივუახლოვდი, შევამჩნიე, მილი გასდევდა და იმ მილს გავყევი... ეს საქმე უცებ ვერ გაკეთდებოდა, შუაღამემდე ვმუშაობდი, რა თქმა უნდა, მესროდნენ, მაგრამ ხშირად ვიცვლიდი ადგილს. გამოღმაც და გაღმაც, უპირველეს ყოვლისა ხიდის ბურჯებთან, გადავჭერი მთავარი ზონარი, რომლითაც შეეძლოთ ოთხი ტონა დინამიტი აეფეთქებინათ (ორი — გაღმა ბურჯთან, ორიც — გამოღმა).



რაკი ეს მოვახერხე, ხიდი უკვე საშიში აღარ იყო, რომ გითხრა, ყველაფერი ეს უშიშრად გავაკეთე-მეთქი, ტყუილი იქნება. პირიქით, კინაღამ შიშმა გამათავა, ჯერ ერთი, იმის მეშინოდა, ვაითუ საკუთარ შეცდომას ვემსხვერპლო-მეთქი, მეორეც, იმისა, მეც თუ დავიღუპე, ამ ხიდის განაღმვას ვინღა გარისკავს-მეთქი. ამან შიში დამათრგუნვინა.

განაღმული ხიდიდან არაქათგამოცლილი რომ დავბრუნდი და ვთქვი, გზა გახსნილია-მეთქი, ტანკისტებმა ხელში ამიტაცეს და კარგა ხანს ასე მატარეს. ალერსით სული ამომართვეს. მალე იმ ხიდზე გადაიგუგუნეს ჩვენმა ტანკებმა, მიჰყვნენ ქვეითები, მერე ქვემეხებიც გადავიდნენ და დაიწყო ბუდაპეშტის იერიში.

ბუდაპეშტიდან ჩვენი ბატალიონი ჩეხოსლოვაკიაში გადაისროლეს. მერე კი — ავსტრიაში. ომი რომ დამთავრდა, უკან გამობრუნებისას, მეთაურს ვუთხარი, მოდი, ჩვენს გადარჩენილ ხიდთან შევჩერდეთ-მეთქი. არ ვიცი, ჩემი ხათრით გააკეთა თუ ასეთი იყო საერთოდ განკარგულება, ერთი თვით იმ ხიდის მიდამოებში დავბანაკდით. ერთობ მიხაროდა, ჩემს გადარჩენილ ხიდზე ხალხი თავისუფლად რომ გადი-გამოდიოდა.

ომს რომ ვიგონებ, გული მეკუმშება, ჩემს გარშემო იმდენი დაიღუპა, შინ რომ დავბრუნდი, ხშირად მელანდებოდა, როგორ ფეთქდებოდნენ ნაღმებზე ჩვენი ბიჭები. საშინელია ომი, დაიწყევლოს მისი მომგონი და მოსურნე!

— ამინ! — კვერს ვუკრავ იმ ადამიანს, ვის განაღმულ ხიდზეც მეც გადამივლია ბუდაპეშტში შესვლისას.

# ყველაზე მაღალი სახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალმა ამბავმა წამში შემოირბინა სოფელი გულრიფში. დიდმა თუ პატარამ, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ სასოფლო საბჭოს წინ გაშლილ მოედანს მიაშურა, რომელსაც, ის-ის იყო, მოადგნენ ავტობუსები წარწერით — „შეკვეთით".

დამხვდურთა შორის პიონერებიც იყვნენ და, რა თქმა უნდა, პირველნი სწორედ ისინი გაჩნდნენ ავტობუსებთან. თითქოს ამას ელოდაო, მეწინავე მანქანა შეჩერდა, კარი გაიღო და იქიდან ნაცრისფერკოსტიუმიანი ხნიერი ჩაფსკვნილი კაცი გადმოვიდა. მზის სხივებზე თვალისმომჭრელად გაიელვა მის მკერდზე მოკიაფე საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავმა.

ის კაცი მაშინვე იცნეს. იცნეს ფოტოსურათით, რომელიც სულ პატარაობიდან ახსოვდათ, სახელით, რომელიც მუდამ ამაყად ხმიანებდა, როგორც კი სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებაზე ჩამოვარდებოდა საუბარი. თითქოს მისი დიდრონი და ღონიერი ხელებიც კი იცნეს, ის ხელები, რომლებიც ოდესღაც ავტომატის ცეცხლს უშენდნენ ფაშისტ კანიბალებს და რომლებმაც მთელი კაცობრიობისათვის სამახსოვრო დღეს გამარჯვების წითელი დროშა აღმართეს განადგურებული ფაშისტური ბუნაგის — რაიხსტაგის თავზე.

და ყოველი მხრიდან გაისმა მისალმებანი:

— გამარჯობათ, მელიტონ ბაბუა!..

— გამარჯობათ, ბატონო მელიტონ!..

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პატივცემულო მელიტონ!..

Добро пожаловать, Мелитон Варламович!..

მელიტონ ქანთარია გულღიად იღიმებოდა, ყველას ალერსიანად უბრუნებდა სალამს.

...როცა სოხუმის სურსათვაჭრობის თანამშრომლებს სთხოვეს, გულრიფშელ კოლმეურნეებს სიმინდის თოხნაში მიეხმარეთო, ისინი სიამოვნებით დათანხმდნენ. ურიგო



მელიტონ ქანთარია

როდია, მთელი დღე ზღვის სუფთა ჰაერი ისუნთქო და თან მეგობრებსაც წააშველო ხელი! დელეგაციის მეთაურობა მელიტონ ქანთარიამ იკისრა. ჰოდა, ახლა ყანისპირს მიადგნენ თუ არა, ძველმა ჯარისკაცმა ომახიანი ბრძანება გასცა:

— თოხები საბრძოლველად მოამზა-დეთ!..

„სიმინდის იერიშის" ერთ-ერთი მონაწილე იგონებს:

— სანამ გულრიფშს მოვუახლოვდებოდით, ცა ღრუბლებით იყო დაფარული. მერე ნელ-ნელა მოიწმინდა, ხოლო ყანას რომ მივადექით და თოხები მოვიმარჯვეთ, ისეთმა ცხრათვალა მზემ დააცხუნა, ჩრდილი მოგვენატრა. ბევრ ჩვენგანს თოხი კარგა ხანს ხელში არ გვჭეროდა და გაგვიჭირდა, დავიღალეთ, ხელისგულებზე ბებერები დაგვასხდა. მარტო მელიტონს არ ეტყობოდა დაღლა, ერთხელვე აღებული ტემპი ოდნავადაც არ შეუნელებია და მალე ყველანი კარგა შორს ჩამოგვიტოვა უკან. იმ დღეს ამ წლებით დატვირთულმა კაცმა სამი ვაჟკაცის ნორმა შეასრულა. ამ „რეკორდმა" ბევრი გააკვირვა, თუმცა ჩვენ არ გავუოცებივართ — ვიცოდით ჩვენი ვეტერანის ამბავი...

მელიტონ ვარლამის ძე ქანთარია, ჯვარელი (წალენჯიხის რაიონი) გლეხის მრავალრიცხოვანი ოჯახის შვილი, პატარაობიდანვე შეეჩვია შრომას. მით უმეტეს, უფროსი ვაჟი იყო და ესეც ავალებდა, მუდამ მამას სდგომოდა გვერდით — ხვნაშიც, თოხნაშიც და მოსავლის აღებაშიც.

საბჭოთა არმიაში იგი 1940 წელს გაიწვიეს, და ეს ერთი ომისწინა წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საფუძვლიანად დაუფლებოდა საბრძოლო ოსტატობის საიდუმლოს. სიძნელეები, რა თქმა უნდა, ხვდებოდა ხოლმე, მათ შორის კი რუსული ენის სუსტი ცოდნა იყო მთავარი. მის მხარდამხარ მსახურობდნენ უკრაინელები და ყაზახები, სომხები და ესტონელები, თურქმენები და მოლდაველები. ყოველი მათგანისთვის საურთიერთო და სასამსახურო ენა — რუსული იყო, და თუ ამ ენას ვერ დაეუფლებოდა სამხედრო საქმეში წარმატებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ეს ჭეშმარიტება სწრაფად შეიგნო ახალგაზრდა ჯარისკაცმა, ჰოდა, მთელი თავისი უნარი და ნებისყოფა მოიკრიბა, მის წინაშე მდგარ ამოცანას მშვენივრად გაართვა თავი, სამხედრო საქმესაც ღრმად დაეუფლა და მოწინავეთა შორისაც მტკიცედ დაიკავა ადგილი. ამან კი შესაძლებლობა მისცა, ვაჟკაცურად აეტანა ყველაფერი და ღირსეულად გაევლო ომის ცეცხლი პირველ დღიდან ბოლო დღემდე, იმ დღემდე, რომელმაც მისი სახელი უკვდავებას აზიარა.

აი, რას გვიამბობს იმ ღირსსახსოვარ დღეზე საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ ეგოროვი, რომელმაც მელიტონ ქანთარიასთან ერთად აღმართა რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა:

— ასეული უკვე არხთან იდგა, როცა მე და უმცროს სერჟანტს, კომკავშირელ ქანთარიას წითელი დროშა ჩაგვაბარეს. ეს იყო უბრალო წითელი ქსოვილი, რომელზედაც რომელიღაც ჯარისკაცს გაუფაფავი ხელით დაეხატა ჩაქუჩ-ნამგალი და წაეწერა: «150 стр. ордена Куту-

зова II ст. Идрицк. див. 79 с. к. 3 у. а. 1 б. ф». ესკი ნიშნავდა შემდეგს: „ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მე-3 დამკვრელი არმიის 79-ე მსროლელი კორპუსის კუტუზოვის II ხარისხის ორდენოსანი 150-ე იდრიცის მსროლელი დივიზია". ჩვენ ორს გვევალებოდა ამ დროშის რაიხსტაგის სახურავზე ატანა. თან გაგვაყოლეს რადისტები და ტელეფონისტები, რომელთაც დროშის აღმართვის ამბავი მაშინვე უნდა ეცნობებინათ პოლკის მეთაურ ზინჩენკოსათვის. ჩვენ მოკლე გადარბენებით მივიწევდით წინ, სწრაფად ვიყენებდით ნანგრევებს, ნაყუმბარევ ორმოებს. ჩვენები ცეცხლით გვიფარავდნენ, მაგრამ რაიხსტაგის შენობის სხვადასხვა ნაწილში შემალული ჰიტლერელები სეტყვასავით გვაყრიდნენ ტყვიას. როგორც იქნა, კიბეს მივაღწიეთ და მეორე სართულზე ავირბინეთ. გერმანელები მარტო ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ჯერს კი არ გვიშენდნენ, ტანკსაწინააღმდეგო ფაუსტვაზნებსაც გვესროდნენ... ჩვენ კი ჯიბრზე ტყვია და ნამსხვრევი არ გვეკარებოდა, ნაბიჯ-ნაბიჯ, დაჟინებით მივიწევდით ზევით... მოგვიანებით გვიამბეს, როგორ ადევნებდნენ თვალს ჩვენი მოიერიშენი, რანაირად მიიწევდა ზევით, სართულიდან სართულის გავლით წითელი დროშა, ხან აქ გაიელვებდა ნახევრად დანგრეულ და ჩამოშლილ კედლებს შორის, ხან — იქ... აჰა, უკვე მესამე სართულის იატაკს დავადგით ფეხი, ხელყუმბარებით ვეხმარებით ჩვენს ქვეითებს და სხვენისკენ ვიკაფავთ გზას... ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, სახურავზე აღმოვჩნდით, ამაყად მდგარი რკინის მხედრის გვერდით. მიმოვიხედეთ. ჩვენს ფეხქვეშ კვამლსა და ხანძრის ალში გახვეული ბერლინი გაწოლილა. აფეთქებათა გრუხუნში მაინც ისმის, როგორ სკდება ყუმბარები აქვე, შორიახლო, რაიხსტაგის სახურავზე. აფეთქების ტალღამ ძირს რომ არ ჩაგვყაროს, რკინის ცხენსა ვართ მიკრულები, თან ვფიქრობთ, დროშა რანაირად დავამაგროთ. უცებ მოზრდილმა ნამსხვრევმა ჭახანით გახვრიტა ცხენის ფერდი. „მოდი, აქ ჩავარჭოთ ტარი", — მეუბნება ქანთარია. დავამაგრეთ და ის იყო, უკან დაბრუნება დავაპირეთ, რომ ვხედავთ, რომელიღაც ჯარისკაცი მორბის. „დროშა მარტო ერთი მხრიდან ჩანს! — გაჰყვირის, რაც ძალა და ღონე აქვს. — თან ქვევიდან მაყურებელს ისე ჰგონია, მხედარს უჭირავსო!".. მაშასადამე, დროშა გუმბათზე უნდა აგვეტანა. გუმბათი კი მთლად დაცხრილული იყო, ყველა მინა — ჩალეწილი. მარტო რკინის ჩონჩხედიღა ილანდებოდა გამურული ცის ფონზე. გარშემო ტყვიები ზუზუნებდნენ, ჭურვები სკდებოდა. მაინც გავბედეთ და გუმბათზე აცოცება დავიწყეთ. ჩვენს ქვემოთ ცეცხლში, კვამლსა და მტვრის ბუღში ჩაძირული შავი სივრცეა — ნამდვილი ჯოჯოხეთი. სროლა წამითაც არ წყდება. ქანთარია წინ მიდის, მე მის კვალდაკვალ მივცოცავ. როგორც იქნა, წვეროს მივაღწიეთ, როგორც იქნა, საიმედოდ დავამაგრეთ ტარი. და აი, ბოლოს და ბოლოს, ყოველი მხრიდან — არა მარტო ბერლინიდან, არამედ დედამიწის ყველა კუთხიდან მოჩანს რაიხსტაგის თავზე ამაყად მოფრიალე გამარჯვების წითელი დროშა!..

... ის, რომ მელიტონ ქანთარიამ გამარჯვების დროშა მიხეილ ეგოროვთან ერთად აღმართა, შემთხვევითი როდია. ამ ორ საბჭოთა ჯარისკაცს დაზვერვაში თუ ფრონტის წინა ხაზზე გადახდილ ცხარე ბრძოლებში ნაწრთობი მეგობრობა აკავშირებს. მათ მეგობრობას საფუძველი ვისლისპირა ტყეში ჩაეყარა, როცა მელიტონ ქანთარიას ნაწილში შევსება მოვიდა — ბელორუს პარტიზანთა ერთი ჯგუფი.

ჯობს, ამის თაობაზე თვით მ. ქანთარიას მოვუსმინოთ:

— 1944 წლის მიწურულს ჩვენი მსროლელი დივიზია ბალტიისპირეთიდან პოლონეთში გადაისროლეს. მზადდებოდა მძლავრი იერიში და ჩვენი არმია ძალებს იკრებდა გადამწყვეტი დარტყმისათვის. ჩვენც, მზვერავთა ოცეულის მებრძოლებმაც, მივიღეთ შევსება. ერთი ახალბედა, ჩაფსკვნილი, სახემოღიმარი უმცროსი სერჟანტი ყველაზე მეტად მომეწონა. ხოლო როცა შევიტყვე, სმოლენსკელიაო, მხარზე ხელი დავკარი:

— შე კაცო, თანამემამულენი ვყოფილვართ! გავიცნოთ ერთმანეთი, მელიტონი ვარ, ქანთარია.

— მიშა ეგოროვი ვარ... მაგრამ თანამემამულენი რანაირად უნდა ვიყოთ?

— არა გჯერა? — ვუპასუხე — ეგ არის შენი პარტიზანული ფხიზელი თვალი? რანაირად და — ბრძოლებითა ვართ თანამემამულენი, გაიგე? მე ხომ სმოლენსკის მიდამოებში ვიბრძოდი, აუარება სოფელი გამივლია, იქნებ შენიც, ახლა აღარ მახსოვს, ჰოდა, თავად გამოიტანე დასკვნა...

ოცდაცამეტ წელს გაგრძელდა ეს მეგობრობა. სიკვდილმა დაგვაშორა ერთმანეთს — აღარ არის მიშა ეგოროვი, ჩემი ფიცვერცხლნაჭამი თანამებრძოლი. მაგრამ ყველგან, ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩემს ფიქრებსა და მოგონებებში, მაშინაც, როცა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ პარადზე მივაბიჯებ — მიხეილ ეგოროვი ჩემს გვერდითაა...

... ოთხმა ათეულმა წელმა გაიარა იმ დღიდან, როცა საბჭოთა მეომრებმა რაიხსტაგის სახურავიდან ჩამოაგდეს ფაშისტური სვასტიკა და აღმართეს გამარჯვების დროშა; ნანგრევებიდან წამოიმართნენ ქალაქები და სოფლები, მიწით ამოივსო სანგრები, ყოფილ ბრძოლის ველზე ჯეჯილი და სათიბი ბიბინებს... დიახ, მოიშუშა მიწამ ჭრილობები... მაგრამ ეს როდი გვაძლევს უფლებას, თუნდაც წამით დავივიწყოთ ისინი, ვინც მშვიდობიანი ცხოვრება შეგვინარჩუნა და ნანატრი გამარჯვების დილა გაგვითენა. ახსოვს, ყველაფერი ახსოვს მშობლიურ მიწასაც და მშობელ ხალხსაც, დიდსაც და პატარასაც, ახსოვს ისიც, ვინც აღარ არის, ისინიც, ვინც დღესაც მხარში გვიდგანან — და მათ შორის კაცი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სახელის მატარებელია, კაცი-ლეგენდა—მელიტონ ქანთარია.

ვლ. მიროშნიჩენკო,
კაპიტანი, გაზეთ „ლენინსკოე ზნამია" კორესპონდენტი.

17 977

ს. ქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# შოპენის „ფანტაზია“

**კარლო კობერიძე**

მხატვარი თ. ფხიკიძე

მოთხრობა

მთელი ორი კვირაა, რაც სახელმძღვანელოები მოიტანეს სკოლაში, მაგრამ შარშანდელივით ყურთაგლეჯაზე არ მიმდგარა საქმე — გამგემ თავის კაბინეტში ჩაკეტა, რაკი ყველას ვერ გასწვდება, უბნების მიხედვით უნდა გავანაწილოო. ასე აჯობებს, თორემ შარშანაც ვენახში ვიყავი ღამედგომით, ვერ გავიგე წიგნების განაწილების ამბავი და აკი ცარიელი დავრჩი. მტრისას, მე რომ გავწვამდი იმ წელიწადს! — გიამ აღარ მათხოვა წიგნები: ვიჭიდავეთ, წავაქციე, და ის ეწყინა. სხვა გზა არ იყო და, შიოს მივეკედლე, თუმცა ისიც მალე გამიდგა განზე, აქაოდა, შეშის დაჭრა არ მიშველეო. როგორ უნდა მეშველა, მამიდასთან მივდიოდი, იმასაც შეშა ჰქონდა დასაჭრელი! ხვალ გამოვალ-მეთქი. მე დღეს მინდაო. ელაპარაკე! მერე მზიას მივადექი კარზე და, ბედი არ გინდა? — ერთი თვის შემდეგ აღარც იმათ ეზოში შემესვლებოდა: ჩემს ბიძაშვილს რატომ წაუთაქეო, ვითომც ის არაფერი, ბარნაბას მეძებარს ქვა რომ დასცა ტყუილუბრალოდ. მოკლედ, როგორც იქნა, გავაცოდვილე ის წელიწადი.

უბნების მიხედვით განაწილება, რად უნდა ლაპარაკი, ნამდვილად კარგად მოუფიქრებიათ: თვითონ არ მათხოვებენ და აღარც მე ვათხოვებ. ეგრეა. მოდი და ამის შემდეგ სიამტკბილობა ნუ გექნება!

დილას, ტყიდან სათონე ფიჩხს რომ მოვათრევდი, ზედ სკოლის ასასვლელთან ისტორიის მასწავლებელი, ბენო თუშიშვილი შემხვდა. ცოტაც გაუძელი, ყმაწვილო, მერმის ამ დრომდე ომიც ჩაივლის და გეშველებაო. რაღა მისი თქმა მინდოდა, მეც კარგად ვატყობ. ჰო-ჰო, რა სირბილი სცოდნიათ გერმანელებს? ნეტა სადამდე ირბენენ, ბერლინსაც ხომ აღარ გასცდებიან?

ორი დღეც და — საპირველსექტემბრო ზარსაც შემოჰკრავენ. ნინო ბებიას თქმისა არ იყოს, სწავლას ნამდვილად არაფერი ჯობს, მაგრამ გული კი მეწურება. სადაცაა, შემოვა ყურძენი, შემოდგომურა ატამიც, ჰოდა, უფრო ხშირად ახლა უნდა მხედავდნენ ვენახში. არადა სკოლასაც რომ არ ეღალატება? წვრილფეხობამ დღისით არ მისუნთქ-მოსუნთქოს იქაურობა, თვალი აღარ უჭრის ნინო ბებიას და ამისი მეშინია, თორემ ღამე ისევ იქ არა ვარ? რას ვიზამ, დარდსაც უნდა გავუძლო როგორმე და ამხელა გზის ჩავლა-ამოვლით დაქანცვასაც.

საღამოთი ვენახში წასვლას რომ ვაპირებდი, დედაჩემმა მითხრა, წეღან თომა პაპა ვნახე წყაროზე, ვიდრე არ მოვირთვლებ, ვენახიდან ამომსვლელი აღარა ვარ, კახამ მშვიდად დაიძინოსო.

ახლა კი მომეშვა გულზე: თომა პაპა ჩვენი მომიჯნავეა. მთელი კვირა წითელწყაროში იყო წასული, ღვინო წაიღო სულადზე გადასაცვლელად. გამიხარდა, მაგრამ ის მაინც სულ სხვაა, შენს თვალში რომ ატარებ საკუთარ ავლა-დიდებას.

მინდოდა, მართლაც მშვიდად და-

მეძინა, მაგრამ სიცხემ ამაწრიალა — არაფრით არ გამიშვა სიზმარეთში. სახლის კარიც ღია იყო, ოთხივე ფანჯარაც და მაინც არ განელდა სიცხე. ხანდახან კი წამოიშრიალებდა ნიავი, სიძველით დაძენძილ ფერგადასულ ფარდებსააქანავებდა, ამით თუ ვიგებდი მის მობრძანებას, თუმცა სიცხის განიავებას არ დაადგა საშველი.

მაინც წამართვა ძილმა თავი, მესიზმრა: თითქოს ჩვენს ქოხში ვიყავი, ჩემს გამოჩორკნილ მაგიდაზე ახალი სახელმძღვანელოები მეწყო და სიხარულით ვფურცლავდი. თომა პაპა შემოვიდა, დამიტატანა, ეგ წიგნები სად გაგექცევა, დალოცვილო, ორ კვირაში რთველიც ამღერდება, გამოდი, შენს დატკეპნილ ვენახს უყურეო. ხმა არ გავეცი, ეწყინა და ბუზღუნ-ბუზღუნით წავიდა. რად ვაწყენინე-მეთქი, უცებ მოვითენთე, რულიც ერთბაშად მომერია, მაგიდაზე ჩამოვდე შუბლი და ჩამეძინა კიდევაც. ვხედავ, თომა პაპა მობრუნებულა უკან, მანჯღრევს. ვერ მაღვიძებს და უკვირს, ძალიან უკვირს — ერთი ამას დამიხედე, რა ღრმა ძილი სცოდნიაო?! წყალი დავასხა, ეამება, მაშ რა ვქნა, კაცო, როგორ გავაღვიძოო! თუმცა სამისო წამალიც ვიციო, — ყურში მწვდა. ტკივილმა გამომაღვიძა, ქოხში კი არა, შინ: ჩვენი სკოლის მნე ვანო მათიაშვილი დამდგომია თავზე:

— აქამდე ძილი შეიძლება, ბიჭო?!

მზე ამოსულა უკვე, აივანზე ლეღვის ჩრდილი აფენია.

— რა ამბავია, მასწ?! — წამოვჯექი.

— გურჯაანში მივდივართ პირველი მატარებლით, რვეულები უნდა წამოვიღოთ. გამგემ მითხრა, ჯერ რა გვეკუთვნის და, დღესვე თუ არ ამოვიტანეთ, არ დაეფიცებათ, ისიც გაგვინახევრონო. ვიდრე მივიხედ-მოვიხედავ, ეკლესიის ეზოში უნდა გაჩნდე, იქ მოელენ ბიჭები.

— დედაჩემს უთხარი, თორემ არ დამიყენებს სიკეთის დღეს!

— უკვე მოგვარებულია ეგ საქმე — კოპერატივთან შემხვდა წეღან, ვენახში მივდივარო. აბა, დროით აიწიე, — კიბისაკენ წავიდა.

— მერე, ბილეთის ფული?!

— კიდევ არ ჩაგიცვამს, ბიჭო?! — უკვე ეზოდან მესმის ვანოს ხმა.

— ახლავე, მასწ! — წამოვხტი.

ვანო არც ერთ კლასს არ ასწავლის, მაგრამ რაკი გამგის მოადგილეა, „მასწავლებელოთი“ მივმართავთ იმასაც. მარტო სკოლის დარაჯისა და დამლაგებლისთვის არ გვემეტება ეს მადლიანი სიტყვა, თუმცა ზოგჯერ არც ისინი გვაკლებენ ჭკუის დარიგებას და წაქიმუნჯებასაც კი.

ათი ბიჭი დამხვდა ეკლესიის ეზოში. ორის გარდა ყველა ჩემი ჯგუფელი იყო, ის ორნი, მეცხრეკლასელები, დიდები ვართო, ცალკე იდგნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ.

— ვანო მასწავლებელი სადღაა? — ვკითხე შიოს.

— აგრე დაეშვა თავქვე, — ღელისკენ გაიქნია ხელი, — იქნებ ორიოდე ვინმე კიდევ ვნახოო, თურმე ოცდაათი შეკვრაა წამოსაღები.

— შეკვრას გააჩნია.

— დიდებიაო, იმიტომ გასდის ხვითქი.

ქვევიდან მოველოდით და ზევიდან კი გამოჩნდა ვანო მასწავლებელი, დაგვიძახა, წამოდითო. მეათეკლასელი ბუდუ იზორიაც დავინახეთ — წახრილიყო და პეშვით სვამდა გვალვით მისუსტებულ წყალს. წყურვილი მოიკლა და ახლა თავი შეუშვირა ონკანს.

თბილისელი იყო ბუდუ. გერმანია რომ დაგვეცა, მისი ექიმი დედ-მამაც გაიწვიეს ომში და სოფლელი ბებიისა და პაპის ანაბარა დარჩა. ისინიც თავზე დაჰკანკალებდნენ შვილიშვილს. ადვილად მიეჩვია ბუდუ თავის სოფლელობას: ლახტის გემოც გაიგო, თოხარიკი ცხენისაც და მოპარული ხილისაც. სწავლით ხომ კარგად სწავლობდა, მაგრამ მთელ სკოლაში უფრო ამით იყო გამორჩეული: ორიოდე მასწავლებლის გარდა, ყველაზე უკეთ იცოდა რუსული, და კიდევ — სიმღერა. ასეთ მოდურ რამეებს კი არ მღეროდა: „გოგოვ, გოგოვ, შავთვალავ, გოგოვ შუშანაო“, ანდა — „რა დროს სიყვარულია, რას მიედ-მოედებიო“. არა, „ჩაკრულოს“ თუ „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ რომ დააგუგუნებდნენ ბერიკაცები, ისეთ სუფთა პირველს აუწევდა ხოლმე, მომღერლებიც პირჯვარს იწერდნენ.

ჯერ ადრეა მატარებლის ჩამოდგომა, ჩვენც ლაპარაკ-ლაპარაკით მივუყვებით ვაჩნაძიანის სადგურისაკენ მიმავალ ბილიკებსა და ორღობეებს. გვეჩქარებოდეს, ნაბიჯს მაინც არ მოვუმატებთ: ვანო მასწავლებელი მთელი ერთი წლის დაბრუნებულია ომიდან, მაგრამ ნატყვიარი, გაშეშებული ფეხი ისევ აწუხებს.

ჰა და ჰა, ერთი საათის ამოსული თუ იქნება მზე, ცხელი ოფლი კი დაგვასკდა. ჩრდილ-ჩრდილ მივდივართ, მაგრამ ისეა ჩაგუბებული ჰაერი, ხეხილისა და ცოცხალ ღობედ ჩარიგებული აკაციის, ფურცლის, კუნელის ტოტი მხოლოდ მაშინ ტოკავს, ჩვენი დანახვით დაფეთებული ჩიტი რომ აფრინდება ხოლმე.

— მართლა ოცდაათი შეკვრაა, მასწავლებელო? — ეკითხება გია.

—მეტი თუ არა, ნაკლები არაფრით არ იქნება.

— მერე, წამოღება არ გინდა?!

— რაო, ვერც მატარებელი მოერევაო?

— ჩვენ ვერ მოვერევით, თორემ მატარებლისთვის ეგ ისეა, ვითომ კოღო დამჯდომია მხარზე.

— საწყობი თითქმის ზედ აკრავს სადგურს, ჰოდა, არ გაგვიჭირდება ბაქანზე გაზიდვა.

— მე აზიდვა მაფიქრებს, — გაეღიმა ბუდუს. — იმ ჯგერთაში რა აგვატანინებს!

— ჩამომვლელზე ასე, ცარიელებსაც გაგვიჭირდება ასვლა: ზევე უკვე სწავლა იწყება, დამსვენებლები თუ სტუდენტები უფრო დღეს-ხვალ გაიკრიფებიან თბილისში. იქიდან ამომვლელზე კი, დამიჯერეთ, ისეთი ხალვათობა იქნება, ომის დაწყებამდე რომ იყო ხოლმე. სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, ბუდუს ემახსოვრება კარგად... აქ კიდევ ცხენის მაზიდს დაგვახვედრებს ჩემი სახლიკაცი.

მართლაც, მატარებელი ისე იყო მგზავრებით გადატვირთული, გული გადამიტრიალდა, იქ ამსვლელი ვერა ვარ-მეთქი. ვანო მასწავლებელს კოჭლობამ უშველა, ვაგონის კიბეზე ჩამოკონწიალებულმა ხალხმა მიიწ-

მოიწია და, როგორც იქნა, შეუშვეს შიგნით. ჩვენი სამი ბიჭიც შეჰყვა, ამისი ძმისწულები ვართო. ამ ალიაქოთსა და ყაყან-წიკვინში ძლივს გავიგონეთ ბუდუს ხმა (ზედ ორთქლმავალთან იდგა) — გამოიქეცითო. წინა სამი ვაგონი ღია იყო: როგორც კი მივუახლოვდით, ბუდუ მაშინვე ვაგონის მოაჯირს ეცა. წასვლის ზარი ჯერ არ შემოეკრათ, მეც თვალი შევავლე ღია ვაგონებს: ორზე ვერ ვიტყვი, წინაში კი ნამდვილად ჩავარდებოდა ნემსი. ჩვენი ბიჭები უცებ ავარდნენ ვაგონში, მეც დავფაცურდი — ვაგონის ღერძის გამონაშვერზე შევდგი ფეხი, ხელები მოაჯირისაკენ გავაქანე, მაგრამ ჩავლება ვინ მაცალა: მოაჯირზე ჩამომსხდარი უცხო ბიჭები ორივე მკლავში ჩამაფრინდნენ და ჯელღის ტომარასავით გადამისროლეს ვაგონში. ვიღაცას მხარზე დავეცი, ვიღაცას თავი ვატაკე ბეჭებში, ვიღაცამ კიდევ ხელი მკრა და სკამზე მიჭყუნულ ხალხს პირქვე დავეხეთქე. შეშინებული თუ გაოცებული რომ წამოვჯექი, აკი ფაშფაშა დედაკაცის კალთაში არ აღმოვჩნდი?!

— შენ კი გენაცვალე, მოხვედი, შვილო? — თავზე გადამისვა ხელი. ისე დედაშვილურად მომეფერა, მეც გამეცინა.

ასადგომად ავიწიე — ვინ მიშვებს!

— ბრძანდებოდე, შვილო, ნუ გეფიქრება, კალთას ვერ ჩამიხევ სიმძიმით.

იმ ხანებში ავიწონე საველე სასწორზე — ოცდარვა კილო ვიყავი...

ვაი-ვაგლახით გავიარე სკამებშუა. ხალხი, როგორც იტყვიან, ერთმანეთზე კასრის თევზებივით არის მილაგებული. ბილეთები კი ავიღეთ, მაგრამ რომელი რევიზორი გაიმეტებს თავს, გვერდების დაბეგვა იქით იყოს, სახელმწიფო ტანსაცმელი შემოიხიოს.

ასეთი ღია ვაგონები მხოლოდ ზაფხულობით დადიოდა; იატაკიც რკინისა ჰქონდა და სკამებიც. ორივე მხარეს, თავიდან ბოლომდე გამოზომილად იყო ჩაყოლებული რკინის სვეტები. ზემოდან, თითქმის შუამდე, რკინისავე ჩუქურთმები ჩამოსდევდა. ბიჭბუჭობა უფრო მოაჯირზე ჩამოჯდებოდა ხოლმე, ფეხებს ისე იქნევდნენ, თითქოს ჩოჩიალა ურემზე სხედანო, თუმცა არც მატარებელს ემარჯვებოდა გაქროლ-გამოქროლება — ისე ნელა, ზოზინ-ზოზინით დადიოდა, ბიჭები სანძლეოზე ბოლო ვაგონიდან ჩამოხტებოდნენ ხოლმე, აიკრეფდნენ ფეხებს და სულ რაღაც ხუთ წუთში უკვე პირველი ვაგონის კიბიდან იქნევდნენ ხელს. მაშინ ასეთ ანეკდოტსაც გაიგონებდით: თელავიდან თბილისში მიმავალი კაცი მატარებლიდან ჩამოვიდა — მეჩქარებაო, ფეხით გაუდგა გზას.

ისე ჩავედით გურჯაანში, კავკასიონს ორიოდეჯერ მოვკარი თვალი, ცის ნაჭერს კი უფრო ხშირად ვხედავდი; ხან ვიღაცის ბეჭებს ავჩერებოდი, ხან მკერდს, ხან პირისახეს და ხანაც თავ-კისერს. ჩამსვლელები ჩავლენ — მიმაჭანჭყარებენ კიბისაკენ, ამომსვლელები ამოვლენ — ახლა უკან მომაჭანჭყარებენ.

გურჯაანში ჩამსვლელი ცოტა იყო, ამომსვლელი, იცოცხლე! ვიცი, მატარებელი ნახევარი საათი მაინც უნდა იდგეს გაუტოკებლად. მაგრამ საღამომდეც რომ არ დაიძრას, მაინც ვერ ჩამოვალ.

ყურისწამლებ ყაყანში ძლივს გამოვარჩიე ვანო მასწავლებლის ბოხი ხმა — მე მეძებს.

ღრმად ჩავისუნთქე და გავძახე:

—აქა ვარ, ვანო მასწავლებელო!

ვიღაც მოღლეშილმა კაცმა უკან მოაბრუნა თავი:

— ჩასვლა გინდა, ბიჭო?

— დიახ.

ნელა მოტრიალდა, სწრაფად რომ შემობრუნებულიყო, საჭიდაო ადგილს დააგდებინებდა მგზავრებს! შემობრუნდა, მკლავში ჩამავლო ხელი, გამაგრდიო, და ამომაძრო ხალხიდან; სკამის ვიწრო საზურგეზე შემსვა, გაკივკივდიო და, მეც უცებ აღმოვჩნდი მოაჯირზე. იქიდან ჩასვლას ბევრი აღარაფერი უნდოდა.

ხალხი შეთხელებულიყო ბაქანზე და ადვილადაც მივაგენი ჩვენს ბიჭებს. დავეწნახე და, ვანო მასწავლებელიც მოვიდა.

მართლა იქვე იყო საწყობი — სადგურიდან ასიოდე მეტრზე, ნაირსაქონლის მაღაზიის უკან, ეზოს სიღრმეში; იფიქრებდი, ხალხის თვალიდან გასარიდებლად შემოსულან ამ გასაცოდავებულ ბუდრუგანაში. ფიცრების ღრიჭოში შეგეხედა, გარკვევით დაინახავდი, სად რა ეწყო.

საწყობის კარს ვეება კლიტე ედო. გასაღების ჭრილიდან გაფშეკილი თითივით მოჩანდა დახვეული ქაღალდი. ვანო მასწავლებელმა გამოაძრო ის ქაღალდი, გაშალა, წაიკითხა, მერე მაჯის საათზე დაიხედა:

— ერთ საათში დაბრუნდება საწყობის გამგე, მანამდე რაიკომში ავალ, პატარა საქმე მაქვს და იმას მაინც მივხედავ. გაიარ-გამოიარეთ და, რომ ივარაუდებთ, უკვე დროაო, აქ გამოცხადდით მაშინვე, — ქაღალდი ისევ ჭრილში ჩაამაგრა და წავიდა.

ბუდუმ შარვლის ჯიბიდან სამკუთხა, ფრონტული ბარათი ამოიღო, იქვე, ჭერმის ძირში მიგდებულ პრიალა ლოდზე დაჯდა და კითხვა დაიწყო. ის წერილი რომ წაიკითხა ღიმილით, ორი სხვაც ამოიღო.

— ვისი წერილებია? — ჰკითხა გიამ.

— ჩემი მშობლებისა, — თავი არ აუწევია.

— სამ-სამს ერთად გიგზავნიდნენ ხოლმე?! — გაოცდა.

— აქაურ ფოსტალიონს არ მოაქვს თავის დროზე და იმ ჯოჯოხეთიდან მოგივა? დილას მომიტანა და ვანო მასწავლებელიც დამადგა თავზე — წაკითხვა ვერ მოვასწარი.

— სადა ვართო?

— რას გაიგებ, ფრონტს მიჰყვებიან, — წამოდგა, ბარათები ისევ ჯიბეში ჩაიდო — გავიაროთ, დრო მოვკლათ როგორმე.

—მოიცა, კაცო! — წამოეწია გია. — ასე მალე წაიკითხე სამივე?

— ხანდახან მარტო ერთი სტრიქონი წერია ხოლმე — კარგადა ვართ და კარგად იყავითო. ამით რასაც მატყობინებენ, ადვილად მიხვდები...

გურჯაანში ბევრჯერ ვყოფილვარ, ამიტომ დასათვალიერებელ-სანახავიც არაფერი მეგულებოდა, ერთადერთი მთავარი ქუჩა იყო, ისიც ისეთი მოკლე, ბოლოდან გაგეხედა, თავში გამვლელს იცნობდი. დანარჩენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩები ჩვენს საუბნო გზებსა ჰგავდა, ოღონდ ცოტა უკეთ იყო მოვლილ-მოხრეშილი.

ქალაქის კვალობაზე ნაკლებად ჩანდა ხალხი, ისიც — ბავშვები. ბავშვები და სამხედროები: საავადმყოფო ხომ თავისთავად, საშუალო სკოლის შენობაც ჰოსპიტლად იყო გადაკეთებული. სამხედროების უმეტესობას ან ყავარჯენი ეჭირა, ან ხელი ჰქონდა დაბანდულ-ჩამობმული.

ბაღში შევიარეთ, თითქმის ყველა სკამზე შილიფად ჩაცმული დაჭრილები ისხდნენ. ერთ ჯგუფთან მივიდა ბუდუ, სად იბრძოდით და ქართველი ხომ არავინ შეგხვედრიათო. ეტყობა, ასეთი შეკითხვებით თავი ჰქონდათ მობეზრებული: ზოგმა — არაო, ზოგმაც — მარტო თავი გააქნია.

გამოვედით ბაღიდან, ჩავყევით ქუჩას და ისევ იმ ჩვენს საწყობთან ჩავედით. ნაირსაქონლის მაღაზია ღია იყო. ბუდუმ გვითხრა, შევიდეთ, ვნახოთ, რა იყიდებაო. შევედით, ჩვენი სოფლის მაღაზია რომ გამახსენდა, გამეცინა: იმასთან შედარებით იმსიგრძე იყო, შენ მხედარი მითხარი, თორემ მართლაც გაჭენდებოდა ცხენი. მარტო ერთ მხარეს ჩასდევდა დახლი და თაროები; თაროები ქუჩისკენაც იქნებოდა ალბათ, — კედლებზე გაკრულ, ჭერიდან ჩამონადენი წვიმით მიმოხატულ შპალერს მკაფიოდ აჩნდა ფიცრის ნაკვალევი.

მაღაზიის მარცხენა კუთხეში ვაზის გუთნები, აკვნები და ყუთები დავინახე, ჩავიხედე — უვარგისი თოხები, ბარები, ფიწლები, დედალმამალი ანჯამები ეყარა. თაროებზე უსახური დოქები ეწყო და კიდევ — თუნუქის მრგვალი ქილები, ალბათ ზეთიანი საღებავებისა, კარ-ფანჯრებისა და კედლების შენახვა-გალამაზებისთვის რომ ხმარობდნენ ხოლმე. ხნიერი, ჭაღარა დახლიდარი სკამზე იჯდა და ისეთი გაყინული თვალებით გვიყურებდა, ვიფიქრე, მგონი ვერც გვამჩნევს-მეთქი. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამ გამოცარიელებულ მაღაზიაში თბილი პურის სურნელი იდგა.

მეცხრეკლასელმა გიამ თავი ასწია, ჰაერი მიყნოს-მოყნოსა და განგებ დაბოხებული ხმით თქვა:



— დახლიდარო, პურის სუნი მცემს.

— ახლახან გავყიდე, შვილო, — თავი ასწია დახლიდარმა.

— აფსუს, მოგვესწრო!

— ვერ მოგცემდით, ბარათებზეა.

— რატო წერილებზე არაო?

— ყველა ასე ეძახის და მე ვინღა ვარ? — გაეღიმა დახლიდარს.

— მერე, ვერ დაკეტავ?

— კანონმა — ღია უნდა იყოსო.

ახლაღა გამახსენდა: ზედ კართან პიანინო იდგა. მაღაზიის ორფა კარი შიგნით იღებოდა. მის მარცხენა ფრთას კედელი იჭერდა, თორემ აქამდე ან თვითონ გაოხრდებოდა, ან პიანინო.

პიანინო თბილისშიც მენახა, მაგრამ როგორ უკრავდნენ, მარტო კინოში მქონდა ნაყურები.

ბუდუ მხრით მიყუდებოდა კედელს და მოწყენილი დასჩერებოდა პიანინოს.

ოდნავ ავიწიე და უფრო გარკვევით დავინახე: ბარე მთელი წელიწადი არ გადაუწმენდიათ პიანინო, თანაც ისე იყო დაფხაჭნილი, საღებავამძვრალი, კუთხეებაქერცლილი, ვინ დაიფიცებდა, ზედ მძიმე რამეს თუ ხარახურას არ აწყობენო.

— დაკვრა იცი? — ვკითხე ბუდუს. თავი დამიქნია.

— პაპაშენი აზრია გასწავლიდა, — გაეცინა შიოს.

ისე შეუბღვირა ბუდუმ, მაშინვე განზე გადგა შიო, ემანდ ხელუკუღმა არ გამცხოსო.

ბუდუ პიანინოსთან მივიდა, ხელი გადაუსვა, მერე დახლიდარს გახედა:

— რაღა ფეხში დაგიდგამთ, ამ სიცარიელეში სხვა ადგილი ვერ გამონახეთ?

— რას მიკეთებს? იმაზედაც მადლობელი იყოს, გარეთ რომ არ გავაბრძანე.

ხელები მოიფშვნიტა ბუდუმ, მომეჩვენა, თითქოს იმიტომ აკეთებდა ასე, კანკალი რომ დაემალა.

— არ გითქვამს, დაკვრა ვიციო, — მხრიდან მტვერი ჩამოუფერთხა მეცხრეკლასელმა გიამ.

— რა ვიცი, ალბათ არ მოიტანა სიტყვამ.

— სკოლაში დადიოდი?

— კი, ხუთი კლასი დავამთავრე. არც ჩვენს სოფელში აქვთ პიანინო, არც აქეთ-იქითა სოფლებში, თორემ ხანდახან გავიხსენებდი ომისწინა წლებს. ჩემს მშობლებს კი ვწერ, ვმეცადინეობ-მეთქი. ესეც არაფერი: ისინი კიდევ აქეთ მატყუებენ, კარგადა ვართო!

მაღაზიაში მაღალი, ხმელ-ხმელი, ქერა კაცი შემოვიდა, ჩუსტები, საღამური პერანგი და სამხედრო გალიფე ეცვა; თავი ჰქონდა გადახოტრილი. ისეთი ფერი ედო, ციებაგადატანილს ანდა დიდხანს მწოლიარეს რომ აჰყვება ხოლმე. დაღლილი თუ დასუსტებული ნაბიჯით მივიდა დახლიდართან, თითი პიანინოსკენ გაიშვირა და უთხრა:

— Можно поиграть?

დახლიდარი წამოდგა, რატომღაც ბუდუს მიაჩერდა.

— პიანინოს გასაღები შენა გაქვს? — ჰკითხა ბუდუმ.

— გასაღები რად უნდა, შიგ რა, პურს ვინახავ?

— სკამი მომაწოდე.

მოაწოდა.

ბუდუმ სახურავი ახადა პიანინოს და გაშლილი მარჯვენა ხელი ღიმილით დაიქნია სკამისკენ:

— Прошу, маэстро!

კაცს ჩაეღიმა, სკამზე დაჯდა და თითი გაუსვა კლავიშებს. რომ ნახა, მტვრიანი იყო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, დაკვირვებით გადაწმინდა, მერე ცხვირსახოცი დაფერთხა, ისევ ჯიბეში ჩაიდო და ახლა მარცხნიდან ბოლომდე თითები აათამაშა კლავიშებზე — ხმა შეუმოწმა. ამ ხმამ ის გამახსენა, დაფეთებული ბიჭი რომ არბის გრძელ კიბეზე, შევარდება სახლში და მონუსხულივით უცებ ჩერდება.

კაცი მკვეთრად შემობრუნდა სკამზე, შეჯგუფულ ბიჭებს მოგვავლო თვალი და თქვა:

— Многоуважаемая публика, что прикажете сыграть?

— Если можно, «Фантазию» Шопена, — უთხრა ბუდუმ.

კაცმა ოდნავ დაიქნია თავი და დაკვრაც დაიწყო...

არ ვიცი, რა დამემართა, რაღაც სასიამოვნოდ გავბრუვდი, სიზმარსა თუ ზღაპარში მეგონა თავი: ხან ადრეული გაზაფხულის აფერადებულ ტყეში მივდიოდი, ხან თეთრად ჩამობარდნილ ჭალაში მივარღვევდი გაუკვალავ თოვლს, ხან სიცივით აკანკალებული ვეფიცხებოდი ჩვენს აბრიალებულ ბუხარს... წყარო მილივლივებდა ხვინჭაში და ფოთოლს მიაკანკალებდა... მიდამო ნეშოს სურნელში იყო გახვეული... ბალახს წიწკნიდა ცხვარი, გვერდით კი ქათქათა ბატკანი დაკუნტრუშებდა. მაგრამ ქარი ამოვარდა და ცხვარიც აბღავლდა, ჩიტებმაც შეწყვიტეს გალობა-ჭიკჭიკი, ქარს ჩვენი დამძიმებული ბლის მსხმოიარე ტოტი მოტეხა და მოღუშული რომ ვათვალიერებდი, დედა მომენატრა უცებ...

უცებ დავუბრუნდი სინამდვილეს და კაცს რომ შევხედე, გავშრი — თავი აეწია, თვალები მიელულა და ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. სწრაფად უკრავდა, პიანინოს პედალზე ხშირად აჭერდა ფეხს. ბუდუს გადავხედე — თვალები სავსე ჰქონდა ცრემლით.

დროის შეგრძნება დავკარგე, არ ვიცი, რამდენ ხანს უკრავდა. არც ის გამიგია, ან მაღაზიაში როდის შევიდა იმდენი ხალხი, ანდა კარებთან როდის მოგროვდა.

დაკვრა დაამთავრა და გაიღიმა, მაგრამ ვაი ამ ღიმილს, ისევ ჩამოსდიოდა ცრემლი.

არც ტაში დაუკრავს ვინმეს, არც ხმა ამოუღია.



მაღაზიის კართან შეჯგუფებულმა ხალხმა გაიწ-გამოიწია: მაიორი შემოვიდა, ქართველი იყო, სამხრეებზე სამედიცინო სამსახურის ნიშნები ექეთა. მშვიდად მივიდა კაცთან და ისე უთხრა, თითქოს უბოდიშებსო:

— Почему встали, вам же не разрешается ходить?

კაცი უსიტყვოდ წამოდგა და მორჩილად გაჰყვა. მაგრამ ვიდრე მაღაზიიდან გავიდოდა, გაჩერდა, ბუდუს მხარზე მოუთათუნა ხელი.

ბუდუმ ხელის ზურგით შეიმშრალა ცრემლი და მოკრძალებით დახარა თავი.

ლაპარაკ-ლაპარაკით მაშინვე გაიკრიფა ხალხი. ჩვენ კი ისევ მაღაზიაში ვიყავით, გაოცებულები თუ დაბნეულები ბუდუს უფრო მივჩერებოდით, ვიდრე ერთმანეთს.

ღია კარში ერთბაშად გავარდა დახლიდარი. შიომ მხრები აიწურა, ნეტა რა მოელანდაო.

— მაგარი ვინმე იყო, — თქვა ბუდუმ და შუბლი მოისრისა. — ძალიან მაგარი!

— არ გავიდა ერთი საათი? — იკითხა შიომ.

ბუდუმ სინანულითააკანტურა თავი.

დახლიდარი დაბრუნდა, ხელში რვეულის ფურცელი და ფანქარი ეჭირა:

— სკოლაში წოლილა, მერვე პალატაში, ესტონელი ვარო, — ქაღალდს ერთხელ კიდევ დახედა და შარვლის ჯიბეში ჩაიდო, ფანქარი კი თაროს კუთხეში დადო. ერთხანს რაღაცას ეძებდა დახლში, მერე ტუჩი მოიკვნიტა, გამოვიდა დახლიდან და ისე სწრაფად გაიძრო მარწყვის ყვავილით მოხატული ჩითის ჩახსნილი პერანგი, თითქოს ეშინოდა, არ გადავიფიქროო. შიგნით დაკერებული უსახელოებო ეცვა. ხალათი დაუდევრად მოჭმუჭნა და პიანინოს ღონივრად დაუწყო წმენდა:

— ეს რა კარგი რამე ყოფილა, კაცო, პიანინო?! მე კი მეგონა, მშვენიერი ფიცარი გაუთხრებიათ-მეთქი!

ბუდუ დახლიდარის ხელის მოძრაობას მოწყენილი ადევნებდა თვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 5

## ჩვენი უმცროსი მეგობრები— ოქტომბრელები

ჩვენი სკოლის პიონერული რაზმეული, რომელიც ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელს ატარებს, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს. ამჯერად მე ოქტომბრელებთან მუშაობაზე მინდა მოგითხროთ. ჩვენი პიონერები ხალისით ეკიდებიან პატარებთან ჩასატარებელ ყველა ღონისძიებას. იმ დღეს, როცა პირველკლასელები ოქტომბრელთა რიგებში უნდა მიეღოთ, ერთნაირად ღელავდნენ პატარებიც და მათი უფროსი მეგობრები და შეფები მეხუთეკლასელებიც. უფრო მოზრდილ ოქტომბრელებს მეექვსე და მეშვიდეკლასელი პიონერები ეხმარებიან. მთელ ამ მუშაობას კი ოქტომბრელებთან მეგობრობის საბჭო ხელმძღვანელობს. საბჭოს თავმჯდომარე მე თავად გახლავართ. ჩვენი ოქტომბრელები დაუსწრებლად მოგზაურობენ „ოქტომბრის ქვეყანაში“, ყველა კლასს შედგენილი აქვს მოგზაურობის რუკა, რომელიც ყველაზე თვალსაჩინო ადგილას არის გაკრული ყველა ოქტომბრულ კლასში. საერთოდ კი ოქტომბრელთა კუთხეების გაფორმებას დიდი ყურადღება ექცევა. ამას წინათ გამართულ საუკეთესო კუთხის გამოსავლინებელ შეჯიბრებაში მეორეკლასელმა ოქტომბრელებმა გაიმარჯვეს. ძალზე ხალისიანი გამოდგა შეჯიბრება-კონკურსები ვარსკვლავებს შორის „ვისი ნახატია უკეთესი“ და „ვინ კითხულობს ჩემზე უკეთ“. ამჟამად ოქტომბრელები გულმოდგინედ სწავლობენ სიმღერებს. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პიონერები ოქტომბრელთა მომზადებას პიონერული ორგანიზაციის რიგებში შესასვლელად. აცნობენ პატარებს პიონერთა კანონებს, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს მათი პიონერული ცხოვრება, ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციის ისტორიას და ა. შ.

მე და ჩემ მეგობრებს გადაწყვეტილი გვაქვს კომკავშირში შესვლის შემდეგაც არ შევწყვიტოთ მათთან მეგობრობა და ყოველთვის სიამოვნებით დავეხმაროთ.

**ინგა ვერულაშვილი,**
ვანის რაიონი, ისრითის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## ასეთია ჩვენი შალვა

რაზმეულის მუშაობის მთავარი ღერძი აქტივია. ხშირად მიაჩნიათ, რომ აქტივისტი აუცილებლად ფრიადოსანი უნდა იყოს. იმას რა ჯობს თუ ფრიადოსანი პიონერი კარგი აქტივისტი იქნება, მაგრამ სულაც არ არის სავალდებულო რომ მხოლოდ ფრიადოსნები იყვნენ აქტივისტები.

მე ჩემი რაზმეულის ერთ აქტივისტზე, შალვა თავდიშვილზე მინდა გიამბოთ. შალვა VI-კლასელი პიონერია. როცა იგი რაზმეულის პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლედის გეგმას გაეცნო, გადაწყვიტა საკუთარი პიონერული ფერმა შეექმნა, და თანაც შერეული. შალვა მშვენივრად უვლის კურდღლებს, თიკნებს, გოჭებს, ხბორებს. მისი ფერმის დასათვალიერებლად ხშირად მეგობრებიც მიდიან. პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლედში ასეთი აქტიურობისათვის შალვას რაზმეულის საბჭოში შრომითი საქმეების ორგანიზატორობაც დავავალეთ. იგი კარგად უძღვება საქმეს, რადგან პირველ რიგში თვითონ არის შრომისმოყვარე. მიუხედავად იმისა, რომ შალვა ფრიადოსანი არ არის, ის ჩვენი რაზმეულის ნამდვილი აქტივისტია. თავისი სიკეთისა და შრომისმოყვარეობის გამო იგი ყველას უყვარს, როგორც უფროსებს, ისე თანატოლებს.

**ლელა ხინიკაძე,**
მახარაძის რაიონი, სოფელ ძიმითის საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

## წიგნს სიცოცხლეს ვუხანგრძლივებთ

ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარის ნანული შაინიძის დახმარებით შევქმენით საგუშაგო „იცოცხლე, წიგნო“. საგუშაგოში გაერთიანებული არიან მოსწავლეები: ციცინო შაინიძე (VII კლ.), ანზორ აბაშიძე (VI კლ.), ეთერი მახარაძე (V კლ.), რომან დავითაძე (VIII კლ.), სოსლან შაინიძე (V კლ.), ვახტანგ შაინიძე (IX კლ.) და სხვები.

თითოეულ ჩვენგანს შეგნებული აქვს, თუ რამდენი შრომა სჭირდება წიგნის დამზადებას. ყოველ შაბათს საგუშაგოს წევრები ამოწმებენ სახელმძღვანელოებს, კლასებსა და ცალკეულ მოსწავლეთა შორის გამოცხადებულია სოცშეჯიბრი, ვის უკეთ მოვლილი წიგნები აქვს. ორშაბათობით ჩვენ ვამოწმებთ იმ ბავშვების წიგნებს, რომელთაც შაბათს შენიშვნა ჰქონდათ მიღებული. უნდა ითქვას, რომ უმრავლესობას ხელმეორედ შემოწმებისას წიგნები წესრიგში აქვს ხოლმე.

საბავშვო წიგნის კვირეულთან დაკავშირებით ჩავატარეთ კონკურსი თემაზე — „წიგნი ჩვენი მეგობარია“, გაიმარჯვა V კლასმა.

**ავთანდილ აბაშიძე,**
რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, ხულოს რაიონი, სოფელი წაბლანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XII მსოფლიო ფესტივალი სტუმრად საბჭოთა ბავშვებთან

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში ჩამოვლენ ბავშვთა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, ბავშვთა მხატვრული კოლექტივები, ნორჩი მსახიობები, მუსიკოსები, მოცეკვავეები, ტექნიკოსები.

მათთვის იქმნება საერთაშორისო ცენტრი „ბავშვების მეგობრები", რომლის განკარგულებაშიც იქნება მოსკოვის საქალაქო პიონერთა სასახლე და მისი მიმდებარე ტერიტორია. ცენტრი გახდება საბჭოთა და საზღვარგარეთელი ბავშვების, კომკავშირული და პიონერული მუშაკების შეხვედრის ადგილი. აქ მომავალი თაობის აღზრდის, მისთვის ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფის აქტუალურ პრობლემებზე იმსჯელებენ პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სწავლულები, მწერლები, კინორეჟისორები, ჟურნალისტები.

ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო ბავშვების პრობლემები, ამიტომ გათვალისწინებულია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის ერთი დღე ნორჩებს მიეძღვნას. ჩატარდება ზეიმი „XII მსოფლიო ფესტივალი სტუმრად საბჭოთა ბავშვებთან". ამ დღემ ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმის დელეგატებს თვალნათლივ უნდა უჩვენოს, თუ როგორ ზრუნავენ საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია ბავშვებზე. ეს ნათელი დღესასწაული გახდება მთელი პლანეტის ბავშვებთან საბჭოთა ბავშვების მეგობრობისა და სოლიდარობის მანიფესტაცია. მის პროგრამაში გათვალისწინებულია ჩატარდეს მიტინგი „მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს!", ბავშვთა სასულე ორკესტრების პარადი, ანსამბლების გამოსვლები, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები, ასფალტზე ხატვის კონკურსები „დაე, მუდამ იყოს მზე!", პოლიტიკური ნახატისა და პლაკატის კონკურსები, სოლიდარობის ლატარია, ნორჩ მეკარტინგეთა შეჯიბრებები.

დღესასწაული გაგრძელდება „არტეკში", სადაც გაემგზავრებიან პლანეტის ნორჩი წარმოგზავნილები.

ფესტივალზე გათვალისწინებულია მოეწყოს შემდეგი გამოფენები: ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსის „მე ვხედავ სამყაროს" — გამარჯვებულებისა; იგი ასახავს ბავშვთა ბრძოლას ატომური საშიშროების წინააღმდეგ, მშვიდობისა და განიარაღებისათვის, ბედნიერი ბავშვობისათვის. გააშუქებს სწავლის, სპორტის, ხელოვნების, თამაშების თემებს;

ბავშვთა გამოყენებითი შემოქმედების საკავშირო გამოფენა „ბავშვები — მშვიდობაა, შემოქმედებაა, სიხარულია". გამოფენა მნახველებს გააცნობს ნორჩი ტალანტების შემოქმედებით შესაძლებლობებს და ნიჭს, საბჭოთა ხალხების ეროვნული შემოქმედების მრავალფეროვნებას. ცხადია, შემდეგ ეს პროგრამა კიდევ უფრო შეივსება, დაკონკრეტდება, მაგრამ ერთის თქმა ახლავე მტკიცედ შეიძლება: ფესტივალის ამ ნაწილს საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ძალებს არ დაზოგავს მის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამაში მათ დიდად დაეხმარებიან თვით ნორჩი ლენინელები. ბავშვთა საკავშირო აქციის ჩარჩოებში, რომელიც ტარდება დევიზით „საბჭოთა ქვეყნის ბავშვები — ფესტივალის მონაწილეებს" პიონერები და მოსწავლეები ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმს მოუმზადებენ საჩუქრებს, სუვენირებს, სამახსოვრო წერილებს, ლექსებს.

ფესტივალისათვის მზადების პერიოდში სკოლებისა და პიონერული ბანაკების რაზმეულებში ჩატარდება კონკურსები ფესტივალის თემაზე შესრულებულ საუკეთესო ნახატებზე, სიმღერებზე, მშვიდობისა და ფესტივალისადმი მიძღვნილი ლექსების მხატვრულ კითხვაზე. მოეწყობა თემატური სტენდები და ფოტოვიტრინები. პიონერ-მოსწავლეები აქტიურად ჩაებმებიან აქციაში „სალუტ, მშვიდობავ!" მონაწილეობას მიიღებენ შაბათობებში. მათ მიერ გამომუშავებული თანხა ფესტივალის ფონდში გადაირიცხება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წითელი ყელსახვევების კავშირი

## იუგოსლავია

იუგოსლავიის პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა ფაშიზმის წინააღმდეგ იუგოსლავი ხალხის განმათავისუფლებელი ომის წლებში. ცალკეული პიონერული ჯგუფები 1942 წლის 12 დეკემბერს გაერთიანდნენ პიონერთა კავშირად.

იუგოსლავიის პიონერთა კავშირში ამჟამად ბავშვთა ორი ასაკობრივი ჯგუფია: ნორჩი პიონერები — 7-11 წლის ასაკის გოგონები და ბიჭები, და უფროსი პიონერები — 11-15 წლის ასაკისანი. პიონერები წითელ ყელსახვევს ატარებენ.

## ვიყოთ გმირთა ღირსნი

სლობოდან ანდუნოვიჩი დაიბადა და გაიზარდა ბელგრადში, გამოჩენილი სწავლული გეოდეზისტის ოჯახში.

როდესაც ფაშისტებმა იუგოსლავია დაიპყრეს, იგი გიმნაზიის მოსწავლე იყო, და თავის მეგობარ გიმნაზისტებთან ერთად იატაკქვეშა ჯგუფი ჩამოაყალიბა.

ბელგრადის ერთ წყნარ ქუჩაზე ბავშვებმა შემთხვევით აღმოაჩინეს იარაღის საწყობი, რომლის არსებობაზე ფაშისტებმა არაფერი იცოდნენ. იატაკქვეშელები მალულად შეიპარნენ საწყობში და გამოზიდეს იარაღი და ტყვია-წამალი.

იარაღს ანდუნოვიჩების ბინაში ინახავდნენ — აქ გერმანელი მაიორი და მისი დენშჩიკი იყვნენ ჩასახლებულები და, ამდენად, სახლი ოკუპანტებს საეჭვოდ არ მიაჩნდათ.

შემდეგ იარაღი მთაში გადაგზავნეს პარტიზანებთან.

სლობოდანის ჯგუფის საბრძოლო ანგარიშზეა გრომლენსკის ქუჩაზე მდებარე გარაჟის აფეთქება. ძნელი იყო გარაჟში შეღწევა. ფაშისტები მას გაძლიერებულად იცავდნენ, მაგრამ ბავშვებმა გარაჟის ახალგაზრდა მუშებში ნახეს თანამოაზრე, რომელმაც მოახერხა და გარაჟში ნაღმი შეიტანა. აფეთქებამ გაანადგურა ათობით გერმანული მანქანა და ათასობით ლიტრი საწვავი.

როცა ფაშისტებმა კიდევ უფრო გაამწვავეს ტერორი ბელგრადის მცხოვრებთა მიმართ, სლობოდან ანდუნევიჩის ჯგუფი მთაში ხომოლიას პარტიზანებთან წავიდა. პარტიზანთა ხელმძღვანელობამ გიმნაზიელებს მეტად სერიოზული დავალება მისცა: მათ შორეულ მთის სოფლებში უნდა ევლოთ და აგიტაცია გაეწიათ მცხოვრებლებისთვის ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩეტნიკებმა — ასე ეძახდნენ იუგოსლავიაში ხალხის მოღალატეებს — სლობოდანის ჯგუფს გეში აუღეს, თვითონ სლობოდანი დაჭრილი შეიპყრეს და სასტიკი წამებით მოკლეს. ამ დროს იგი მხოლოდ 14 წლისა იყო...



გოიკო პარიპოვიჩი დაიბადა კოსინიეში, მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. 12 წლისა იგი იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ლიჩანსკოს პირველი ბრიგადის მებრძოლი გახდა. ასობით კილომეტრი გაიარა გოიკომ, ბევრი გაჭირვება გადაიტანა, ვიდრე თავისი სოფლიდან პარტიზანებთან მიაღწევდა.

პარტიზანულ ბრიგადაში იგი მეკავშირედ გაამწესეს. მან საქმე მალე შეითვისა და საიმედო მეკავშირედ ექცა პარტიზანებს. არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ცხარე ბრძოლებშიც.

ერთხელ ფაშისტებმა გაიგეს, რომ დრვარში განლაგდა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შტაბი იოსიპ ბროზ ტიტოს მეთაურობით; საპარაშუტო დესანტი გადმოსხეს და შეეცადნენ გაენადგურებინათ არმიის მთელი სარდლობა. გერმანელ მედესანტეებთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა — ნორჩმა მეკავშირემ გოიკო პარიპოვიჩმა. მტრის ცეცხლის ქვეშ იგი სასწრაფოდ აღადგენდა კავშირს, ხოლო როცა ფაშისტები შეტევაზე გადმოდიოდნენ იარაღით ხელში იბრძოდა.

ომის დასასრულამდე იყო გოიკო ლიჩანსკის პირველი ბრიგადის მეკავშირე. საბრძოლო დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებულია მედლით. ომის შემდეგ გოიკომ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი. ამჟამად ბელგრადში ცხოვრობს და მუშაობს.

დრო თანდათან გვაშორებს გასული ომის დღეებს. მაგრამ იუგოსლაველი პიონერები პატივს სცემენ ნორჩ გმირებს, რომლებიც იბრძოდნენ ფაშისტურ უღლისაგან სამშობლოს გასანთავისუფლებლად. იუგოსლავიაში შემავალ ექვსივე რესპუბლიკაში მოქმედებენ ნორჩ კვალმაძიებელთა რაზმები.

„ვიყოთ გმირთა ღირსნი" — აი დევიზი, რომლითაც ამოწმებს თავის საქმეებს ათასობით იუგოსლაველი პიონერი.

## ჩეხოსლოვაკია

### მეხანძრეები კულიშკოვოს ქუჩიდან

ბრატისლავაში კულიშკოვოს ქუჩაზე მდებარეობს შესანიშნავი სკოლა. ეს სკოლა მარტო ჩეხოსლოვაკიაში როდია ცნობილი, მას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იცნობენ. სკოლა გამორჩეულია თავისი ნორჩ მეხანძრეთა რაზმებით. ყველა პიონერულ რაზმში არიან ნორჩი მეხანძრეები. კვირაში ერთხელ ისინი სწავლობენ მეხანძრის მძიმე საქმეს, ეუფლებიან პროფესიის საიდუმლოებას.

ბავშვებმა საკუთარი ხელით მოაწყვეს წინაღობათა ზოლი ამტანობასა და სიმარჯვეში სავარჯიშოდ.

...დამთავრდა გაკვეთილები, სპორტულ მოედანზე კი ნორჩი მეხანძრეები ვარჯიშობენ.

— ცეცხლი მოუკიდე საბურავს! — განკარგულებას იძლევა ინსტრუქტორი.

მეექვსეკლასელი ეჟი ვალჩეკი ავტომობილის ძველ საბურავს ცეცხლს უკიდებს. კვამლი დატრიალდა მოედნის თავზე, ცეცხლის ენები უფრო და უფრო ბობოქრობენ.

ინსტრუქტორი უხსნის ბავშვებს, როგორ უნდა იხმარონ ცეცხლმქრობი. თეორიულად ბავშვებმა ეს უკვე იციან, მაგრამ პრაქტიკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, „საბრძოლო" ვითარებაში ჯერ არც ერთს არ გამოუყენებია ეს ცოდნა.

— ვალჩეკ, — ისევ იძლევა განკარგულებას ინსტრუქტორი — ჩააქრე ხანძარი!

ეუი როგორლაც უგერგილოდ იღებს ცეცხლმქრობს და ხელიდან უვარდება, დამცველი თალფაქი ტყდება და ქაფის ნაკადი ბავშვებს პირდაპირ ფეხებში სცემს! არის ერთი ჭყივილი და სიცილი.

— გაბედულად! უფრო მაგრად დაიჭირე! — ეშველება ინსტრუქტორი. — აი, ასე! ცეცხლთან უფრო ახლოს მიდი, თამამად, თამამად...

ახლა კი ქაფი პირდაპირ ცეცხლისკენაა მიმართული და იმასაც, სხვა რა გზა აქვს, უნდა დამორჩილდეს.

ჩეხეთის ქალაქ გავლიჩკუვ ბროდში სტარტი მიეცა სოციალისტური ქვეყნების ნორჩ მეხანძრეთა IV საერთაშორისო შეჯიბრებას. ჩეხოსლოვაკიიდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბრატისლაველი პიონერები კულიშკოვოს ქუჩაზე მდებარე სკოლიდან. იცით, ვინ შედიოდა ამ გუნდში? გოგონები! რვა გოგონა!

სკეპტიკოსები ქირქილებდნენ: ნახეს რა მაგათაც გამოსაგზავნი ხალხი! გოგონების გუნდი რის მაქნისი იქნებაო! მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ ამ გოგონებმა წარმატებით იასპარეზეს სასკოლო, რაიონულ, საქალაქო შეჯიბრებებში და ბრძოლით მოიპოვეს საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება.

აქაც ასახელეს გოგონებმა მშობლიური სკოლა. მეგობრობა, ურთიერთდახმარება და



ოსტატობა დაეხმარა მათ გამხდარიყვნენ საუკეთესონი.

ყველაზე საინტერესო რამ კი მერე მოხდა: ჩეხოსლოვაკიის ნორჩ მეხანძრეთა რაზმებს გოგონები მოაწყდნენ!

ვლადისლავ პეტერსი

მხატვარი
ირინა ბარანოვა



# ნადკას ბაღი

ნადკა თოთხმეტისა იყო, მე — ექვსისა, და ნადკა, რაღა თქმა უნდა, ავტორიტეტი იყო. თუმცა, ავტორიტეტი იურაც იყო, იგი მეორე კლასში სწავლობდა. მაგრამ იურა ახლა ქალაქგარეთ იმყოფებოდა. დეიდამისს იქ ძროხა ჰყავდა, ჩვენ კი, ვისაც არც მამიდა გვყავდა და არც დეიდა, მთელ დღეს იმ მივარდნილ მინდორზე ვატარებდით.

ყველა სახლში ერთნაირად ბატონობდა შიმშილი.

როგორც წესი, დილაობით დედა წყალ-წყალა წვნიანს მისხამდა და ისეთ ციცქნა პურის ნატეხს მაძლევდა, რომ არც კი მყოფნიდა. მართალია, მე იმ წყალწყალა წვნიანს უპუროდაც კი შევჭამდი, მაგრამ ისიც რომ აღარ იყო ხოლმე? და შიმშილი რომ გადამევიწყებინა, სახლიდან გავრბოდი.

იმ მიტოვებულ მინდორში ვიკრიბებოდით და ნადიას ველოდებოდით. ის ყოველთვის რაღაცას გამოიგონებდა ხოლმე, გამომგონებლობის საოცარი ნიჭი ჰქონდა. მისი წყალობით იყო, რომ ჩვენი ერთი თამაში არასდროს არ ჰგავდა მეორეს.

ერთხელ ნადიამ თქვა:

— რას ჰგავს ეს ჩვენი მინდორი, რა მტვრიანია! თემური თავისი რაზმით აუცილებლად სულ გადაასხვაფერებდა მას.

— თემური ვიღა არის? — ვკითხე.

ნადიამ მიამბო. მე პირში შევყურებდი და ვერ გამეგო, ტყუოდა თუ მართალს ამბობდა.

— აი, ჩვენს მინდორში რომ ბაღი გაგვეშენებინა, — თქვა ნადიამ.

— თემურის რაზმში პიონერები იყვნენ, ჩვენ კი აბა, ვინა გვყავს, მხოლოდ წვრილფეხობა, — თქვა ლიუსკამ და მუცელში თითი მატაკა.

— შენ თვითონა ხარ წვრილფეხობა! — წამოვიძახე მე. — მე, იცი რა შემიძლია? იცი?

— არაფერიც არ შეგიძლია, — მიპასუხა ლიუსკამ.

— მუშაობას კი შესძლებს და რა გინდა, — გამომექომაგა ნადია.

ასე შეიქმნა ჩვენი რაზმი.

პირველი ორი დღე ბარების შოვნას მოვანდომეთ.

უმეტესობა ევაკუირებული ოჯახებიდან ვიყავით და ამიტომაც ბარი არავის არ აღმოგვაჩნდა შინ. თუმცა მაინც ვიშოვეთ. უფრო ზუსტად, ნადიამ და კიდევ რამდენიმე გოგო-ბიჭმა იშოვეს. მაგრამ არც ჩვენ ვისხედით გულხელდაკრეფილები: მინდორს ქვებისგან ვწმენდდით. სახლში კარგა მაგრად გვხვდებოდა დახეული შარვლებისთვის, მაგრამ ყველაფერს ვუძლებდით.

ნადია ამბობდა, აქ ბაღი იქნებაო, ნამდვილი ხეხილის ბაღი, და ყველა ბიჭსა და ყველა გოგოს შეეძლება ვაშლი მოწყვიტოს ან კაკალი ჩამობერტყოსო.

მე ხშირად მესიზმრებოდა ეს ბაღი — ვაშლისა და კაკლის ჭამით მუცელს ვიყორავდი, გაღვიძებით კი ყოველთვის მშიერი ვიღვიძებდი. მაგრამ ერთხელ გავიფიქრე, რომ ამ ჩვენ გაშენებულ ბაღში ყველა ჩვენგანს ექნება თავისი ხე, მამაჩემს კი — არა, იმიტომ, რომ მამა ფრონტზე

დაიღუპა. ავდექი და ნადიას ვკითხე:

— ნადია, მამაჩემს კი არ ექნება ხე?

ნადიამ გაიღიმა.

— ექნება. და ჩვენ მას „გენას მამის ხეს“ დავარქმევთ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ომი მიმდინარეობდა, არც ერთხელ არ დამიძინია ისე ბედნიერს, გადაყვლეფილი მუხლებიც კი აღარ მტკიოდა.

ნელ-ნელა, ვისაც რამდენი შეგვეძლო, მოგვქონდა ნადიასთვის ნერგების საყიდელი ფული და მოუთმენლად ველოდით იმ დღეს, როცა მათ დარგვას შევუდგებოდით.

უკვე ორმოებიც მზად გვქონდა. უკვე მზეც ისე აღარ აცხუნებდა, მაგრამ საქმე ადგილიდან ვერ იძვროდა.

ჩვენ სულ ვეკითხებოდით ნადიას, ხეები როდისღა გვექნება-თქო, მაგრამ ნადია ხეირიან პასუხს ვერ გვაძლევდა. ნერგების საყიდელი ფული ძალზე ცოტა არისო, სასუქს ვერაფრით და ვერსაიდან ვერ მოვიტანთო.

ნელ-ნელა ჩვენი ენთუზიაზმიც ჩაქრა. ამასობაში იურაც ჩამოვიდა.

მე მას, რა თქმა უნდა, დიდი საიდუმლოებით გავანდე, რომ ჩვენ რაზმი გვყავს, რომ ბაღს ვაშენებთ და რომ გაისად აუცილებლად ჩავყრით ნერგებს.

იურკამ გაიცინა და გულდაჯერებით გამოაცხადა, სისულელეა ეგ ყველაფერიო.

დეიდასთან ყოფნაში მოკეთებულიყო. მე ვუთხარი — კიდევაც გასუქებულხარ-მეთქი, იმან კი მიპასუხა, ეს სიმსუქნისაგან კი არა, ღონისაგან ვარ ასეთიო.

ერთხელ იურკამ გამომიცხადა:

— რა სულელი ხარ. ნადია ნერგების მყიდველი არ არის. გირჩევნია ფული უკანვე გამოართვა. ნესვი ვიყიდოთ. იცი, რა გემრიელია ნესვი?!

მე ვიცოდი, რომ ნესვი გემრიელია, მაგრამ ძალიან დიდი ხანი იყო, არ მეჭამა, ან იქნებ არც არასდროს მეჭამა. იურკას ნადიასთან მისვლას შევპირდი, თუმცა ძალიან მეუხერხულებოდა.

ყოველდღე, ეზოში შეხვედრისას იურკა უსათუოდ მკითხავდა ხოლმე:

— იყავი?

მე კი სულ სახვალიოდ ვდებდი ნადიასთან წასვლას.

ბოლოს იურკას მობეზრდა და მითხრა:

— უბრალოდ გეშინია და ეგ არის. წამო!

თავჩაქინდრული გავყევი.

ლაპარაკით იურკა ლაპარაკობდა. ნადია მე მიყურებდა, მე კი ფეხს ვინაცვლებდი და მიწას ჩავცქეროდი.

მერე ნადიამ უხმოდ გამოიტანა ფული.

მთელი ნესვი იმ ფულით, რა თქმა უნდა არ მოგვივიდოდა, მაგრამ ორი ნაჭერი კი მოგვიჭრეს.

იმაზე გემრიელი არაფერი მეჭამა. სამწუხაროდ, ნაჭერი ძალზე პატარა აღმოჩნდა.

მე არც ნადიაზე ვფიქრობდი, არც ბაღზე, მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ მთელი ნესვის საყიდლად არ გვეყო ფული.

ზამთარში მე და დედა სხვა ქალაქში გადავედით საცხოვრებლად...

გავიდა ხანი და მე კვლავ ამ ქალაქში აღმოვჩნდი.

იქ, სადაც ადრე უკაცრიელი მინდორი იყო, ახლა ბაღი შრიალებდა. ბაღში ბავშვები დარბოდნენ.

ერთ ხეს განსაკუთრებით ბევრი ვაშლი ესხა. მივუახლოვდი, ხელი გავიწვდინე და ის იყო ვაშლი უნდა მომეწყვიტა, რომ ვილაც სერიოზულმა ბიჭუნამ კოსტიუმის სახელოში ჩამავლო ხელი.

— თქვენ, რა, ძია, გმირი ხართ?

— არა, საიდან მოიგონე?! — გამიკვირდა მე.

— ომში ნამყოფი ხართ?

— არა.

— მაშინ ამ ხიდან ვაშლის მოწყვეტა არ შეიძლება.

— რატომ?

პასუხის მაგივრად მან ხის ტანზე ჩამოკიდებულ პატარა ფირფიცარზე მიმითითა, — „გენას მამის ხე“ — ეწერა ზედ.

— ხედავთ! ის ომში დაიღუპა. ამ ხის ვაშლს მხოლოდ გმირებს ვაჭმევთ... და კიდევ, ჯილდოს სახით, ერთი ცალი მეც მომიწყვიტეს — სიამაყით დასძინა მან.

თარგმნა მ. კარგარეთელმა



# შინმოუსვლელის უკვდავება

შინ მოუსვლელო, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა.

გიორგი ლეონიძე.

მოჰკვდები, რათა ცოცხლობდეს იგი,
ვინც შენ აროდეს გინახავს თვალით.

ნაზიმ ჰიქმეთი

სადა ხარ, დაუვიწყარო,
სად ანბივრებ საფლავს?
აქ შენი აკვნის ფიცარი
დედის ტკივილებს ზაფრავს;

დედის ცრემლებით გაყვითლდა
მცირე სურათი შენი,
გულში ნაღველი გაღვივდა,
სულში გახშირდა სენი...

შენზე დარდს ველარ ელევა,
სუფრას ჩასტირის გაშლილს,
მოსწყდება სევდის ცრემლები,
ჩაუცვივდება ჯამში...

არ სტოვებს სუსხი აშარი,
ვით მთას ავდარში ნისლი,
გაბმულმა კვნესამ წაშალა
ყოველი ბგერა მისი.

... ჰო, შენზე ასე იტყვიან:
ომის გრიგალში მკაცრად
გულში შეეჭრა მტრის ტყვია
პირველი ტრფობის ნაცვლად;

ასე იტყვიან: ცხრამეტი
წლისა იყოო იგი
და დაიხურა სიცოცხლე,
როგორც თხელტანა წიგნი.

შენ გმირებს მხარი აუბი,
ვინ თქვა სიკვდილი შენი,
შენ მომხდურს გაესაუბრე
მძლე იარაღის ენით,

დაცალე როგორც ვაზნები,
იმ სიჭაბუკის წლები,
სიცოცხლეს ებასები,
ისევ სამშობლოს სწვდები,

და ხსოვნის ფხაზე მამული
კვლავ შენს სახებას კვესავს,
შენ კი არ ჩანხარ, თუმც გელის
შენი თბილისი დღესაც...

**გიორგი მეთეკაური**

# ვიქტორინა

## მესამე ტურის პასუხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1.** 1945 წლის 16 აპრილს დაიწყო დიდი სამამულო ომის დამაგვირგვინებელი სტრატეგიული ოპერაცია. მასში მონაწილეობდნენ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის (სარდალი — საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი), ბელორუსიის მე-2 ფრონტის (სარდალი — საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი) და უკრაინის 1-ლი ფრონტის (სარდალი— საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი) ჯარები, აგრეთვე ბალტიის ზღვის სამხედრო ფლოტი (სარდალი — ადმირალი ვ. თ. ტრიბუცი).

ჩვენს არმიებს წინააღმდეგობას უწევდა ფაშისტურ არმიათა დაჯგუფება „ვისლა" და ნაწილი არმიისა „ცენტრი", რომელთა განკარგულებაშიც იყო 1 მილიონამდე ჯარისკაცი, 10400 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1500 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 3300 საბრძოლო თვითმფრინავი, ფრონტის ზოგ ადგილას ფაშისტებმა თავი მოუყარეს კოლოსალურ სამხედრო ძალას. მაგალითად, კიუსტრინის პლაცდარმთან ფრონტის სამკილომეტრიან მონაკვეთზე მათ განლაგებული ჰყავდათ მთელი დივიზია, ყოველ ერთ კილომეტრზე კი 60 ქვემეხი და 17 ტანკი მოდიოდა.

მაგრამ ჩვენმა მეომრებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად გაარღვიეს გერმანელთა დაცვა, დააქუცმაცეს, გარსშემოერტყნენ და გაანადგურეს მათი დაჯგუფებანი, იერიშით აიღეს ბერლინი და 30 აპრილს ფაშისტური ბუნაგის — რაიხსტაგის თავზე აფრიალდა გამარჯვების წითელი დროშა. იგი აღმართეს მამაცმა საბჭოთა მეომრებმა, სერჟანტებმა მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ.

9 მაისს გამარჯვებულ და დამარცხებულ მხარეთა წარმომადგენლებმა ბერლინში ხელი მოაწერეს ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ეს დღე გამოცხადდა გამარჯვების დღედ, მთელი პროგრესული კაცობრიობის დღესასწაულად.

მიმდინარე წელს მეორმოცედ ვზეიმობთ ამ დიად თარიღს.

**2.** სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი გიორგი ტიმოთეს ძე ბერეგოვოი დაიბადა 1921 წლის 15 აპრილს პოლტავის ოლქის სოფელ ფედოროვკაში. 1941 წელს დაამთავრა ლუგანსკის სამხედრო საფრენოსნო სასწავლებელი. სამამულო ომის წლებში ჩაატარა 185 საბრძოლო გაფრენა ილ-2 მოიერიშე თვითმფრინავით. საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მეორე „ოქროს ვარსკვლავი" გ. ბერეგოვოიმ მიიღო 1968 წელს „სოიუზ-3" ხომალდით განხორციელებული კოსმოსური ფრენისათვის.

**3.** „გამარჯვების" ორდენი სსრ კავშირის ყველაზე უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ორდენია. იგი დაწესდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1943 წლის 8 ნოემბერს. ამ მხედართმთავრული ორდენით ჯილდოვდებოდა სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა ერთი ან რამდენიმე ფრონტის მასშტაბით ჩატარებული წარმატებითი ოპერაციებისათვის, რომელთა შედეგადაც სტრატეგიული ვითარება იცვლებოდა საბჭოთა არმიის სასარგებლოდ. „გამარჯვების" ორდენით დაჯილდოვდნენ (ქრონოლოგიური თანამიმდევრობით) გ. ჟუკოვი, ა. ვასილევსკი, ი. სტალინი, კ. როკოსოსოვსკი, ი. კონევი, რ. მალინოვსკი, თ. ტოლბუხინი, ა. გოვოროვი, ს. ტიმოშენკო, ა. ანტონოვი, კ. მერეცკო-

# კონკურსი

ვი. „გამარჯვების“ ორი ორდენი დაიმსახურეს სტალინმა, ჟუკოვმა, ვასილევსკიმ. ამავე ორდენით დაჯილდოვდა, აგრეთვე, რამდენიმე უცხოელი სარდალი და მოღვაწე — ი. ბროზ ტიტო, დ. ეიზენჰაუერი, ბ. მონტჰომერი და სხვ.

4. ლეგენდარული მოიერიშე თვითმფრინავი ილ-2 შეიქმნა 1939 წელს სახელგანთქმული საბჭოთა ავიაკონსტრუქტორის სერგეი ვლადიმერის ძე ილიუშინის საკონსტრუქტორო ბიუროში (ილიუშინი მოგვიანებით გახდა აკადემიკოსი, გენერ ლ-პოლკოვნიკი, სამგზის სოცია ისტური შრომის გმირი, ლენინურ და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი).

ამ თვითმფრინავმა დასაბამი მისცა ახალი ყაიდის საბრძოლო ავიაციას და სათავე დაუდო მისი გამოყენების ახალ ტაქტიკას. მსოფლიოში პირველად, ჯავშნოსან მოიერიშე თვითმფრინავს „შეუთავსეს“ ისეთი თვისებები, როგორიცაა მაღალი სიჩქარე, მანევრულობა, მძლავრი საბრძოლო აღჭურვილობა. მისი მჯობნი თვითმფრინავი გერმანულ ავიაციას მთელი ომის მანძილზე არ ჰქონია.

5. დაიწყო თუ არა დიდი სამამულო ომი, მსოფლიოში შეიქმნა ანტიჰიტლერული კოალიცია. მისი მთავარი მონაწილენი იყვნენ საბჭოთა კავშირი, ინგლისი, ამე იკის შეერთებული შტატები. ომის დასასრულისათვის კოალიციაში 50-ზე მეტი ქვეყანა შედიოდა.

კოალიციის მთავარი მიზანი იყო ბრძოლა ფაშისტური აგრეს ის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის და მათი სატელიტების წინააღმდეგ.

ანტიჰიტლერულმა კოალიციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშისტ დამპყრობთა განადგურებასა და ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობაში.

6. 1945 წლის 30 აპრილს ქართველმა მელიტონ ქანთარიამ და რუსმა მიხეილ ეგოროვმა რაიხსტაგის თავზე აღმართეს გამარჯვების წითელი დროშა. ამ დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

მელიტონ ქანთარია დაიბადა 1920 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში. იარაღით ხელში მან გაიარა უზარმაზარი მანძილი კავკასიონიდან ბერლინამდე. იყო მსროლელი პოლკის მზვერავი. ომი სერჟანტის წოდებით დაამთავრა. სკკპ წევრია 1947 წლიდან.

ამჟამად მ. ქანთარია სოხუმში ცხოვრობს. იგი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. სახელმოხვეჭილი ვეტერანი ხშირად ხვდება პიონერებს, უამბობს მათ ომის ამბებს და სამშობლოს სიყვარულით აღაგზნებს ნორჩ გულებს.

7. ბერლინში, ტრეპტოვ-პარკში, აღმართულია მონუმენტი, რომელიც საბჭოთა ჯარისკაცის ვაჟკაცობისა და ჰუმანურობის მკაფიო სიმბოლოდ იქცა. მისი შექმნის იდეა ცნობილ სკულპტორ ე. ვუჩეტიჩს მინსკელი ჯარისკაცის, ტრიფონ ლუკიანოვიჩის გმირობამ შთააგონა.

ტ. ლუკიანოვიჩი ომამდე მინსკის რადიოქარხანაში მუშაობდა. ორმოცდაერთის ივნისიდან სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. დაიღუპა ბერლინში. სწორედ იმ წამს, როცა მის მიერ გადარჩენილი გერმანელი გოგონათი ხელში საბჭოთა სანგრებთან მოირბინა, იგი ფაშისტური ავტომატის ტყვიებმა მოცელა. გოგონა ჩვენმა ჯარისკაცებმა აიტაცეს და ბრძოლის ველს გაარიდეს.

ტ. ლუკიანოვიჩის გმირობის ამბავი პირველად ცნობილმა მწერალმა და სამხედრო ჟურნალისტმა ბორის პოლევოიმ გაახმაურა.

ტ. ლუკიანოვიჩის ჰუმანური საქციელი მით უფრო საყურადღებოა, რომ ადრე მას გერმანელმა ფაშისტებმა მინსკში ცოლი და ორი შვილი დაუხვრიტეს.

8. საბჭოთა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეს, სახელოვან მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის მარშალს, ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირს გიორგი კონსტანტინეს ძე




ჟუკოვს უზარმაზარი წვლილი უდევს ფაშისტური გერმანიის განადგურებაში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ბევრი ძლევამოსილი სტრატეგიული ოპერაცია დიდი სამამულო ომის სხვადასხვა უბანზე.

გ. ჟუკოვი (1896-1974 წ. წ.) იყო 1-ლი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის მონაწილე, 1939 წელს ხელმძღვანელობდა იაპონელ აგრესორთა განადგურებას ხალხინ-გოლთან. სკკპ წევრი იყო 1919 წლიდან.

გ. ჟუკოვი დაჯილდოებულია 8 ლენინის ორდენით, 2 „გამარჯვების“ ორდენით, 29 საბჭოური და უცხოური ორდენით, აგრეთვე მედლებით.

9. საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებმაც გაანადგურეს ფაშისტური გერმანია და მისი სატელიტები, არა მარტო საკუთარი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაიცვეს, არამედ შეასრულეს დიდი განმათავისუფლებელი მისიაც — ჰიტლერელთა უღლისაგან დაიხსნეს ევროპისა და აზიის ხალხები. დიადი გამარჯვების შედეგად შეიქმნა სოციალისტური ბანაკი, ახალი ძალით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა აზიისა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში, უზრუნველყოფილი იქნა მრავალწლიანი მშვიდობა ევროპის კონტინენტზე. ეს გამარჯვება კიდევ ერთი დასტური გახდა ცნობილი ჭეშმარიტებისა: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“, ან, სხვანაირად: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

# აქტივი ჩემი დასაყრდენია

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელის მანანა სალუქვაძის ანგარიში. მან გააცნო ბიუროს თავისი რაზმეულის მუშაობა მარშის მარშრუტებით, მოუთხრო ძიმითელ პიონერთა საინტერესო საქმეებზე. თუ მე პიონერული მუშაობის ხუთი წლის მანძილზე რამეს მივაღწიე, პიონერული აქტივის მხარში ამოდგომით შევძელი, აქტივისტების სიბეჯითე და პიონერული მუშაობის სიყვარული მომეხმარაო, — ასე თქვა პიონერხელმძღვანელმა.

ბიუროს შემდეგ მანანა სალუქვაძე „კოცონში“ მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ მოვიწვიეთ. სიტყვას ვაძლევთ ძიმითის სკოლის პიონერთა კომისარს.

მანანა სალუქვაძე: საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ძიმითის სკოლის რაზმეულის საქმიანობით დაინტერესება და ჩემი ანგარიშის მოსმენა ჩვენ ყველას დიდ პატივად მივაჩნია და ამავე დროს გვესმის, რომ ეს დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

რაზმეულში ყოჩაღი პიონერები მყავს. მათი თაოსნობა ყველა უბანზე იგრძნობა. ამაში მათ საკავშირო პიონერული მარში დაეხმარა. უფროსი ასაკის პიონერების წინადადებით სკოლაში გაიმართა დისკუსია: „შენი აქტიური პოზიცია!“ დისკუსიისათვის მზადება რგოლებსა და რაზმებში დაიწყო. დისკუსიაზე პიონერებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიხატოს პიონერთა აქტიური პოზიცია მათი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე, შემდეგ ძიმითელთა სადისკუსიო კლუბის მუშაობა პიონერთა რაიონულმა საბჭომ მოიწონა და ამ საკითხზე მესამე სიმაღლის პიონერთა რაიონული შეკრებაც მომზადდა.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე პიონერების სწავლის ამბები რომ გამომკითხეს, გავიხსენე ჩვენი „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი“, გავაცანი სწავლაში ჩამორჩენილებთან რაზმეულის საბჭოს თხოვნით საკოლმეურნეო ბრიგადებში შექმნილი „ცოდნის საგუშაგოს“ მუშაობა, ვუამბე, თუ როგორ ეხმარებიან ბრიგადის წევრები, კოლმეურნეები მათ უბანში მცხოვრებ სწავლაში ჩამორჩენილ პიონერებს, როგორ ამოწმებენ მოსწავლეთა დღის რეჟიმს. ასე რომ, ჩვენი პიონერები ძიმითელი კოლმეურნეების დახმარებითაც ასრულებენ მარშის მოთხოვნას „ისწავლე სწავლა.“

საინტერესოდ მუშაობს ფორე მოსულიშვილის სახელობის ინტერკლუბი. ამჟერად კლუბის წევრები, ჩვენი ქვეყნის ექვსი მოკავშირე რესპუბლიკის პიონერებთან ერთად, ემზადებიან მოსკოვის მე-12 მსოფლიო ფესტივალისათვის. ძიმითში ვიწვევთ მეგობრებს უკრაინიდან, სომხეთიდან, ბელორუსიიდან,, ლატვიიდან, აზერბაიჯანიდან, რსფსრ-დან; ასეთი ზეიმები უკვე ჩატარდა შრომის, ნატანებისა და გურიანთას სკოლებში; მათ არც ჩვენი რაზმეული გვინდა ჩამორჩეს. ყველა პიონერი მონაწილეობს შრომითი საქმეების პიონერულ ხუთწლედში — რგოლებსა და რაზმებს შორის სოციალისტური შეჯიბრებაა გაჩაღებული. ასე შეგროვდა ორი ტონა ჩაის თესლი, 25 ტონა ლითონის ნამსხვრევი, შვიდი ტონა მაკულატურა, გაშენდა კაკლის ხეივანი, მოიკრიფა 40 ტონა ჩაის ფოთოლი.

უმცროსი ასაკის პიონერები სოფლის მეკურდღლეობის ფერმას შეფობენ. მარტო შარშან მე-4, მე-5 კლასების პიონერებმა სახელმწიფოს 80 კურდღელი გამოუზარდეს.




სამაგალითოა შრომითი საგუშაგოს თავმჯდომარის, პიონერ შალვა თავდიშვილის პიონერული ფერმა. პიონერების წასახალისებლად რაზმეულის საბჭომ შემოიღო სტენდი „რაზმეულის შრომის გმირები“. ეს რომ ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა სევერიან მუხაშავრიამ შეიტყო, მოიწონა და მადლობის ფურცელი გამოგვიგზავნა. მისი ხელმოწერით გამოგზავნილი ფურცელი სტენდის გვერდით გამოვაკარით. სტენდს გამუდმებით ემატება ნორჩი მეჩაიეების, მეფრინველეების, მეკურდღლეების სურათები.

რაზმეულში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ დავალებად წითელკვალმაძიებლობა ითვლება. კვალმაძიებლები აქტიურად მონაწილეობენ ექსპედიციაში „მატიანის ფურცლები“, ოპერაციაში „მესიგნალენი და მებუკენი“. საინტერესო მასალებს მიაკვლიეს მათ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახებში, ამ მასალებით ეწყობა კუთხე-გამოფენა, ხოლო ექსკურსიამძღოლობის უფლება იმ რაზმს ეძლევა, რომელმაც ყველაზე მეტი საინტერესო მასალა შეაგროვა.

უფროსი პიონერხელმძღვანელი მანანა სალუქვაძე თბილისიდან ძიმითში დაბრუნების შემდეგ კვლავ დაუკავშირდა კლუბ „კოცონს“, გვაცნობა, თუ როგორ გააცნო თავის პიონერებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე მიღებული შთაბეჭდილება, ისიც, თუ ბიუროს წევრებმა რა ნაკლზე მიუთითეს და რა ურჩიეს მის გამოსასწორებლად.

1985 წელი /განსაკუთრებულია! — ვზეიმობთ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს.

პიონერები მარშის სვლაგეზების დახმარებით ღირსეულად ხვდებიან დიადი გამარჯვების საიუბილეო თარიღს, მასთან ერთად ვემზადებით მოსკოვის მე-12 მსოფლიო ფესტივალისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად.

დავაჯამეთ წლეულს საკავშირო მარშის სვლა-გეზების მიხედვით ჩატარებული მუშაობა, შემოწმებისას სამივე სიმაღლის ბევრმა პიონერმა დაიმსახურა „მარშის აქტიური მონაწილის“ წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე მღეროდნენ

**ტექსტი შ. ამირანაშვილისა** — **მუსიკა ო. თევდორაძისა**

1. უღრუბლო ცას შევხარით
ბედნიერი თაობა,
სულში სიძლიერეა,
გულში გამბედაობა,
ისევ შემოანათა
გამარჯვების მაისმა,
წინაპართა სიმღერა
ძლევის ჰანგად გაისმა.
მისამღერი:
მღეროდნენ, ასე მღეროდნენ
მამაპაპანი ჩვენი —
„მიდის ომი სამამულო,
სამამულო ომი!“
2. მათ ნაკვალევს დავეძებთ,
არ ვივიწყებთ არავის,
გულში მკვიდრად დავიდგით
მარად ხსოვნის კარავი,
დასტრიალებს ქვეყანას
ჩვენი წრფელი ფიქრები,
ჩვენც ყოველთვის სამშობლოს
ერთგულები ვიქნებით.
მისამღერი:
3. წინაპართა მადლია
ჩვენი ლაღი ცხოვრება,
მათი წმინდა სახელი
მუდამ გვემახსოვრება.
არნახული გმირობით
დაგვიდაფნეს მამული,
გვაამაყებს რაინდთა
ბრძოლა ლეგენდარული.
მისამღერი:





## გიგანტური ნიჟარა

გიგანტური ნიჟარა აღმოაჩინეს იაპონელმა მეთევზეებმა კუნძულ ოკინავის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე. მისი სიგრძე 1,1 მეტრია, წონა კი — 292 კგ. როგორც იაპონელი სპეციალისტები ამტკიცებენ, ეს ნიჟარა 22 კილოგრამით მძიმეა ყველაზე დიდ ნიჟარაზე, რომელიც დღემდე იყო ცნობილი.

## გაბინძურებას ებრძვიან წყალმცენარეები

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბიოქიმიკოსებმა დაადგინეს, რომ ზღვის წყალმცენარეთა ერთ-ერთი სახეობის ფესვის ექსტრაქტი მომწამვლელი ნივთიერებისაგან ასუფთავებს გაბინძურებულ წყალს. მეცნიერებმა შეიმუშავეს გასუფთავების ახალი მეთოდი და ცდაც ჩაატარეს. ხსნარში, რომელიც 40-მდე მომწამვლელ ქიმიურ შენაერთს შეიცავდა, მომაკვდინებელი ნივთიერებები სწრაფად დაილექა ჭურჭლის ფსკერზე.

## უკანასკნელნი

პირენეის ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ ისტორიამდელი დროიდან ნადირობდა ადამიანი დათვზე. დღეს საფრანგეთისა და ესპანეთის მთავრობებმა აკრძალეს დათვზე ნადირობა. მაგრამ ეს ღონისძიება ნაგვიანევი აღმოჩნდა, რადგან ბარბაროსული ქლეტის შედეგი დღესაც იგრძნობა: თუ 1887 წელს პირენეიზე 200 ნაბლა დათვს ითვლიდნენ, 1954-ში 72 დარჩა, ხოლო 1982 წელს — მხოლოდ თხუთმეტი.





мოათავსე და იგი ორ-სამჯერ მეტს გაძლებს, ვიდრე ცოცხი, რომელსაც ეს პროცედურა არ გაუვლია.

● ბენზინის, ნავთის, აცეტონის სუნს ადვილად მოიშორებ, თუ ხელებს მდოგვის ფხვნილის თბილი ხსნარით გადაიბან.



● თუ ქალის მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ქუსლი გაუცვდა, შეგიძლია ასე მოიქცე: ქუსლის წვერს საიზოლაციო ლენტი ან თუნუქის ზოლი შემოახვიე, წარმოქმნილი ღრმული კი გამდნარი კაპრონით ან ძველი ფეხსაცმლის ლანჩისაგან ჩამოთლილი პლასტიკატით ამოავსე. მასა გამაგრებამდე კარგად უნდა დატკეპნო, თავი მოუსწორო და გააპრიალო.

პრობლემის გადაჭრა „ცივი მეთოდითაც" შეიძლება, თუ გამდნარი კაპრონის ან პლასტიკატის ნაცვლად ეპოქსიდურ წებოს გამოიყენებ. კარგი იქნება, თუკი წინასწარ მასში ფოლადის ნაქლიბსაც აურევ.




● მტვერსასრუტში ქსოვილის ფილტრს ქაღალდის ხელსახოცი დააფარე და მანქანის გაწმენდისას მტვრის ჩასუნთქვა აღარ მოგიწევს. გაჭუჭყიანებული ხელსახოცი ახლით შეცვალე, ქსოვილის ფილტრი კი ყოველთვის სუფთა დარჩება.



● თუ გსურს, კოლოფში დიაპოზიტივების ზუსტი რიგი შეინარჩუნო, წიბოებზე ერთი კუთხიდან მეორემდე ფერადი დიაგონალური ხაზი გაატარე.




● მაგარ ხეში სჭვალის ჩახრახვნა არცთუ ისე იოლი საქმეა. ადექი და ხე სადგისით ჩახვრიტე, სჭვალი კი კარგად გაპოხე საპნით. ჰოდა, ნახავ, როგორ შეგიმსუბუქდება შრომა.

● ბინის რემონტისას შპალერის კიდურა ზოლის ჩამოსაჭრელად უთუოდ გამოგადგება ხელსაწყო, რომელიც ფიცრის ნაჭრის, მიმმართველი თამასისა და უხიფათო საპარსისაგან შედგება.



● ახალი ცოცხი 2-3 საათით ცხელ მლაშე წყალში



# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ჯანგულაშვილი — საცხრამაისო საუბარი ახალგაზრდობასთან (ლექსი) . . . . . . . გარეკ. 2
მ. გელაშვილი — მათ ხსოვნას დავიწყება არ უწერია (ნარკვევი) . . . . . . . . 2
თ. ჩალაური — „ვინც ქარს დასთესს..." (მოთხრობა) . . . 5
ლ. სულაბერიძე — გიორგი ნაფეტვარიძის სახელობის პიონერულ რაზმს; გამარჯვების პარკი (ლექსები) . . . 10
ა. გეწაძე — იქ, ქარიშხალში (ფრონტული მოგონებები) . . 11
ვლ. მიროშნიჩენკო — ყველაზე მაღალი სახელი (ნარკვევი) . 16
ქ. კობერიძე — შოპენის „ფანტაზია" (მოთხრობა) . . . 18
აისი . . . . . . . . . . . 22
XII მსოფლიო ფესტივალი სტუმრად საბჭოთა ბავშვებთან (წერილი) . . . . . . 24
ფერადი ყელსახვევების კავშირი (წერილი) . . 24
ვ. პეტერსი — ნადკას ბაღი (მოთხრობა) . . . . . . 26
გ. შეთეკაური — შინმოუსვლელის უკვდავება (ლექსი) . . . 28
ვიქტორინა-კონკურსი — „გამარჯვება 40" . . 28
კოცონი . . . . . . . . . 30
ასე მღეროდნენ (მუსიკალური ნოტი) . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . გარეკ. 3

---

გარეკანის 1-ლი და მე-4 გვერდის მხატვრობა თენგიზ სამსონაძისა

---

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ჯოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

---

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

---

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-08, 93-58-05, განყოფილებების — 93-97-92, 93-97-01.

გადაეცა ასაწყობად 25. 08. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 05. 85 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. № 788. ტირაჟი 157.000 ეგზ., უე 05201.

---

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

---

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^{1}/_{3}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 157.000 экз. Цена 20 коп.

---

© „პიონერი", 1985 წ.

## კროსვორდი

შვეულად: — 1. ფრანგი მათემატიკოსი; 2. ქალაქ-ნავსადგური ბულგარეთში; 3. ნიადაგის სიმშრალე, გამოწვეული სიცხითა და ხანგრძლივი უნალექობით; 4. სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ტომი; 6. ქალაქი სამხრეთ კორეაში; 8. მდინარე დას. საქართველოში; 10. ბგერების გადაადგილებით სხვა სიტყვის მიღება; 12. ბუნებისმეტყველი; 13. მტაცებელი ფრინველი; 15. სომხეთის ქალაქი; 16. ქართველი მომღერალი; 17. გამოუწვავი, მზეზე გამომშრალი აგური; 18. სოფელი ხელვაჩაურის რაიონში; 23. მარადმწვანე მცენარე; 24. მავრული ხელოვნების ძეგლი ესპანეთში; 25. ჩეხოსლოვაკიის ქალაქი; 28. უღელტეხილი საქართველოში; 30. სოფელი მესტიის რაიონში; 31. ხის ჯიში; 32. სახლის ბანი.



თარაზულად: 5. გმირი ციხე-სიმაგრე; 7. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 9. მიწისქვეშა ხანძართან ბრძოლის ხერხი; 11. ლიტველი საბჭოთა რეჟისორი; 14. ეთიოპიის ქალაქი; 17. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 19. საბჭოთა ფიზიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი; 20. სუსტი ქარი; 21. მითოლოგიური არსება; 22. აზიის სახელმწიფო; 26. ქალაქი ყირიმში; 27. ხარების ბრძოლა; 29. ცხენი (ულაყი); 31. ივნისის ქართული სახელწოდება; 33. მზის სისტემის ერთ-ერთი პლანეტის თანამგზავრი; 34. მუსიკალური ინსტრუმენტი.

შეადგინა
დავით გოგოლიშვილმა,
ცხაკაია, მე-8 საშუალო სკოლა, V კლასი.

## გამოცანები

შორს ერთი უცხო ლამპარი
მოჩანს, ხან — დიდი, ხან—ჩია.
დღეს — ცხადი, წინათ —
ზღაპარი,
ცას რომ ბურთივით გასჩრია.
სხვისგან ილებს და ჩვენ
გვაწვდის,
რაც თვითონ არ გააჩნია.

●

ვზილე, ვძერწე და ვახურე,
ყურით ვატარე საწყალი,
თავზე ფუჩეჩი დავხურე,
მაინც არ იყო გამწყრალი,
სუფრაზე მოვიმსახურე,
ხან ღვინო მასვა, ხან წყალი...

●

ოთხი ცნობილი მეფეა,
ერთურთს ტახტს ეცილებიან,
გამარჯვებულნი მბრძანებლად
მხოლოდ სამ თვემდე რჩებიან.
და ეს ცილობა გრძელდება,
მილიონობით წლებია.

●

ხან თხევადია, ხან მყარი,
ხან ორთქლად გარდაიქმნება,
ხან ციდან გადმონაყარი
მოგვევლინება ფიფქებად;
თუ მიხვდი, ნუ დამზარდები,
მითხარი, თუ რა იქნება.

შ. სტეფნაძე

●

ფოლადია ნაჭედი —
იარაღი მთამსვლელის.
ფეხზე ჩასაცმელია...
რაა მისი სახელი?

●

მთაში მწყემსებს თან დააქვთ
მატყლის თბილი კარავი, —
ავდარსა და ყინვაში
თავის დასაფარავი.

გ. მარცვალაშვილი

●

ახალი მთვარე მიპყრია —
სწორს ვამბობ, განა ტყუილებს!
ოქროს სხივებში მივცურავ,
მივკაფავ, მივაშხუილებ.
თანაც „ჰოპუნას“ დავძახი,
ვყიჟინებ — გაგიხარია!..
მაშ, მე რომ ხელში მიჭირავს,
ის რა ახალი მთვარეა?

●

როცა ღრუბლებში იელვებს
და ცა პირს
გაიმეხებს,
ერთი ნამცეცა ჩიტუნა
ზევით აიშვერს ფეხებს:
ცა იქცევაო, ჰგონია,
შევაკავოო ეგებ.

●

ერთი ყაჩაღი მოვარდა —
ნეტავ სად იყო, სად არა —
კარს შემოასკდა გიჟივით,
შემომიტვრია ფანჯარა.
აქ ქუჩა ააწიოკა,
იქ ტელეანძა არხია,
ჭადრებს, თელებს თუ
ნეკერჩხლებს
კაბები შემოახია.

ნ. მარიხია



## შარადა

შრომას კიდევ რა ჰქვია,
თუკი იცი, ყმაწვილო,
დასასრული ხმოვანი
უნდა ჩამოაცილო.

გაზაფხულის მესამე
თვის სახელი რაც არი,
პირველ სიტყვას ჩაურთე
მისი წინა მარცვალი.

მერე უზარმაზარის
შესატყვისი გჭირდება,
ოღონდ სანამ შეკრებდე,
შუა მგერა სცილდება.
პასუხია ბრძოლებში
მიღწეული დიდება.

შ. ამირანაშვილი

### პასუხი № 4-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

**კროსვორდი**

თარაზულად: 3. კალმახი; 6. არხანგელსკი; 8. ძნა; 11. დარდანელი; 13. „ტარტაროზი“; 14. ქათამი; 15. ნიანგი; 17. აკურა; 18. უელსი; 20 კიტრი; 22. კობრი; 25. ილუზია; 26. ნაყინი; 27. ნარკოტიკი; 28. იდეალიზმი; 29. ილი; 32. ტრანზისტორი; 33. გრადუსი.

შვეულად: 1. შანხაი; 2. ახტალა; 4. მაგნეზია; 5. ჩიგორინი; 7. ადათი; 8. ძროხა; 9. ამადუ; 10. ფრონე; 12. ინკუბატორი; 13. ტროლეიბუსი; 14. ქოთანი; 16. იგრეკი; 19. კურკა; 20. კაბინეტი; 21. იორკი; 22. კადრი; 23. ინტერვიუ; 24. სირია; 30. ენგური; 31. ატლასი.

**ანაგრამა**

დარი-ლირა, მოლი-ლომი, თავი-თივა, თმა-მთა, წამი-მიწა, ტონი-ნოტი, ნამი-მინა, მხალი-ხმალი.

**გამოცანები**

ცხვირი და თვალები, ევკალიპტი.




6782/80
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.